



არსენალი

73
არსენალი
საქართველო

23 (93), 13 - 26 ნოემბერი, 2009. საერთო ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

ანკები
ოკალურ
მეზუი

425
2009

ელაფარი
შეგზსა
შე-ღანეზე

სამი ქართველი
და 3000 საჭოთა
პარაშუბისტნი...

ბჟუილ-მართალი
ოჩაფირის
პორტზე...



ელაზა
ღნი
ითმფრინავენი



ქართველი
მხველეების
ნარკოზებზე
უკრაინელი

9



ოკუპირების
პრობები და მისი
შესაძლებლობები

11



ყველაზე დიდი
გვირგვინების
თვითმფრინავები

30

განკეები ლოკალურ
ოქებში: კორეიდან
ცხინვალის ოქებზე

40



ნაყიდი და
გაყიდი
ჯარისკაცები

45



თხელი
საპოლიციო
პისტოლეტი
გადასაყიდად
საგარეგნოდ
Walther PPS

54



სარჩები

- 4** ახალი ამბები **კალიდოსკოპი**
- 5** მზადება ავღანური მისიისთვის **მისია**
- 7** არც **M998** და არც **M1114**, მხოლოდ **M1151** **განსწორება**
- 8** „ცოდნით შეიარაღებული ძალები“ **კოლეგები**
- 9** ქართველი მცველების წარმატება უკრაინაში **ბურნიკი**
- 11** ოჩამჩირის პორტი და მისი შესაძლებლობები **ფლოტი**
- 12** **ADEX 2009** **პასპორტშია**
- 16** მრავალმხრივი დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატი **სიანლა შეიარაღებული**
- 17** სამდინარო-საპატრულო ხომალდი **საემსახურებელი**
- 18** საქართველოს საგარეო დაზვერვა – მითი და რეალობა **გაგადაცემა**
- 20** 3 ქართველი არმიის და 3000 შემინებული საბჭოთა მედსანტი **სიზმ-ღანები**
- 22** ხიზგიდან ხიზგ-დანებად **რეპორტაჟი**
- 30** ყველაზე დიდი გვირგვინების თვითმფრინავები **რეპორტი**
- 36** ჯავახიური მოვლენების მიმოხილვა... **რეპორტი**
- 38** თურქეთ-სომხეთის დაახლოების მთავარ პრობლემად ყარაბაღი რჩება **რეპორტი**
- 40** ტანკები ლოკატურ ომებში: კორეიდან ცხინვალის ომამდე **ჯავახიანი**
- 45** ნაყიდი და გაყიდული ჯარისკაცები **კომი – რეპორტი**
- 52** ტანსაცმელი და აქსესუარები **სტილი**
- 53** არსენალის დროით **„არსენალის“ იარაღის მაღაზია**
- 54** თხელი საპოლიციო ჰისტორიები მალულად სატარებლად **Walther PPS**

რედაქციის სპეცი

თანამედროვე „ლიკაინობა“ სულ უფრო აუტანელი ხდება ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლერე ქართული სოფლების მოსახლეობისთვის.

ტივიდან თუ მინდრიდან გატაცებული გლეხების შემდეგ ოსი სეპარატისტები რუს ოკუპანტებთან ერთად უკვე სკოლის მოსწავლეებს გეტაცებენ.

სხვადასხვა დროს გატაცებულთა საერთო რაოდენობა თითქმის 100 კაცს შეადგენს და ჩანს, ეს ტენდენცია გაგრძელდება.

ერთდღიანი გამოსვალი ის არის, რომ ქართული სოფლების მოსახლეობამ მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს, ხოლო შსს-ს თანამშრომლებმა, მათ შორის სპეცრაზმელებმაც, შეძლებისდაგვარად დაიცვენ შევიძლიანი მოსახლეობის უსაფრთხოება.

*ირაკლი ალდაშვილი
მიორბი შორაშოლიანი*

ყარაღდება!
გამოიწერეთ „არსენალი“ და მიიღეთ შინ, ორ ჯვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუეთხხვად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად 26.10.2009

გაზეთ „ჯვირის ჰალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება: ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenalali@kvirispalitra.com
ქურნალი გამოდის ორ ჯვირაში ერთხელ ჰარასკეცს

პენტაგონი არაბირთვულ ბალისტიკურ რაკეტებს შიშობავებს

აშშ, საერაოდ, უახლოეს ორ წელიწადში შეიარაღებაში მიიღებს კონტინენტური ბალისტიკურ რაკეტებს. ერთ-ერთი მეცნიერი, რომელიც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში მუშაობდა, აცხადებს, რომ პენტაგონი დიდ იმედს ამყარებს არაბირთვულ ბალისტიკურ რაკეტებზე. ეს რაკეტები, რომლებიც დატენილი იქნება ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერებებით, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილს 1 საათში მიაღწევენ. ახალი არაბირთვ-

ლი ბალისტიკური რაკეტების ფრენის სიმაღლე იმდენად დიდია, რომ მათ მოწინააღმდეგის რადიოლოკაციური სისტემები ვერ დააფიქსირებს.

არაბირთვული ბალისტიკური რაკეტების შემუშავება აშშ-ში 2006 წელს დაიწყო იმის გამო, რომ ბირთვული იარაღის გამოყენების სფერო შეზღუდულია, ამასთან, ბომბდამშენები და ფრიიანი რაკეტები კი ნელა გადაადგილდება და ჰაერსაწინააღმდეგო თვითდაცვის სისტემები იოლად ანადგურებს.

როგორც ვერ კიდევ 2006 წელს ითქვა, პენტაგონს ახალი რაკეტები ორი წლის შემდეგ უნდა მიეღო შეიარაღებაში. კრიტიკოსების თქმით, არაბირთვული ბალისტიკური რაკეტების გამოყენება შემთხვევითი ბირთვული ომის აღბათობას გაზრდის და ჰაერსაწინააღმდეგო უცხოურ სისტემებს ამერიკელების მიერ გამოყენება არაბირთვული ბალისტიკური რაკეტები, შესაძლოა, ბირთვულში აერიოს.

აშშ-ის არმია სრულყოფილ Raven-ს მიიღებს

აუღანეთში მომსახურე ამერიკელი სამხედროები მიმდინარე წლის დეკემბერში უპილოტო საფრენი აპარატის Raven-ი ახალ სრულყოფილ მოდელს მიიღებენ. ახალი უპილოტო საფრენი აპარატები აღჭურვილი იქნება მონაცემთა ციფრული სისტემით, რის წყალობითაც პაერში ერთ სიზმარზე დაახლოებით 16 აპარატი იქნება (დღეს მხოლოდ ოთხია). სამხედროები სულ მიიღებენ 780

ახალ უპილოტო აპარატს და მიწოდება 2015 წლისთვის დამთავრდება. ამჟამად აშშ-ის არმიის შეიარაღებაში 1400 უპილოტო საფრენი აპარატი RQ-11B Raven-ია. ყველა მათგანი აღიჭურვება მონაცემთა გადაცემის ციფრული სისტემით. აპარატების მოდერნიზაცია 2012 წელს დასრულდება. უპილოტო RQ-11A Raven-ი შეიარაღებაში 2005 წლიდან შეიქმნა, ოღნურ მოგვიანებით კი ახალი

მოდელიცაა RQ-11B. ეს უპილოტო აპარატი პირველ მოდელზე მსუბუქია, აქვს სრულყოფილი ოპტიკური მოწყობილობები, მისი აკრუბლაციონი კი დამატებით 30 წუთს მუშაობს. აპარატს ხელთ უშვებენ და საათში 90 კმ სიჩქარეს აეითარებს. შეუძლია თვალთვალი, სადაზვერუო ამოცანების შესრულება 10 კმ დაიპაზონში და ზღვის დონიდან 4 კმ სიმაღლეზე აფრენა.

ახალი ჯავშანტრანსპორტიორების წარმოება არზამასში 2010 წელს დაიწყება

არზამასის მანქანათმშენებლო ქარხანა, რომელიც საეცხო საზოგადოებას „სამხედრო-სამრეწველო კომპანია“ ექვემდებარება, ჯავშანტრანსპორტიორების BTP-82 და BTP-82A სერიულ წარმოებას 2010 წელს დაიწყებს.

ახალი ჯავშანტრანსპორტიორების გამოცდა, რომელიც BTP-80-ის მოდიფიკაციაა, 2010 წლის თებერვალში დასრულდება, შემდეგ კი გადაწყდება, მი-

იღებენ თუ არა მათ შეიარაღებაში. ამის შემდეგ ქარხანა შეუდგება ახალი მანქანების სერიულ წარმოებას.

ახალი ჯავშანტრანსპორტიორები ძირეულად განსხვავდება BTP-80-ისგან, ამიტომაც თვითდაცვის სამინისტრომ მათ ახალი ინდექსები მინიჭა. BTP-82A აღიჭურვება 30-მილიმეტრიანი ქვემჭობი, BTP-82 კი 14,5-მილიმეტრიანი ტყვიამფრეკვეით. ჯავშანტრანსპორტიორების კომპურები აღიჭურვება შე-

იარაღების სტაბილიზაციის მექანიზმითა და ახალი დასამიზნებლებით.

BTP-80-ის სერიული წარმოება 1984 წელს დაიწყო. მოგვიანებით შეიქმნა ამ ჯავშანტრანსპორტიორის კიდევ სამი მოდიფიკაცია. მანქანა საათში დაახლოებით 80 კმ სიჩქარეს აეითარებს და შეუძლია 600 კმ მანძილის დაფარვა. ჯავშანტრანსპორტიორები BTP-80 დაახლოებით ორი ათეული ქვეყნის შეიარაღებაშია.



ყუმბარსატყორსნებზე 13 მლნ დაიხარჯება

კომპანია General Dynamics აშშ-ის არმიისთვის ავტოჯავშნისატანკო ტექნიკისა და შვიარალების (TACOM) სარდლობისა და კვლევის, შემოშვებისა და შვიარალების მომსახურების (ARDEC) ცენტრისგან მიიღო შეკვეთა ყუმბარსატყორსნების MK19 სერიულ წარმოებაზე.

ახალი ყუმბარსატყორსნების წარმოებისათვის კომპანიას General Dynamics 13 მლნ დოლარი გამოუყვებს. ამასთან, არ დაუზუსტებიათ, ამერიკელ სამხედროებს რამდენ MK19-ს მათ აღუბენ. შეკვეთა იმ კონტრაქტის ფარგლებში გაფორმდა, რომელიც მზარეობა 2008 წლის სექტემბერში გააფორმეს. ახლა მისი ღირებულება დაახლოებით 81 მლნ დოლარს შეადგენს. 40-მილიმეტრიანი კალიბრის ავტომატური ყუმბარსატყორსნების MK19 სერიული წარმოება 60-იანი წლების შუახანებში დაიწყო. სულ ამ



იარაღის ოთხი მოდიფიკაცია შეიქმნა. ამჟამად MK19 20-ზე მეტი ქვეყნის შეიარაღებაშია.

ყუმბარსატყორსნს 15000 მანძილზე განლაგებული სამიზნეების დაბიზნეობ-

ით ცეცხლით განადგურება შეუძლია. MK19-ის სროლის მაქსიმალური სიშორე 2200 მეტრს აღემატება. ყუმბარსატყორსნით წუთში დაახლოებით 300 გასროლა შეიძლება.

26667

ირანმა ბირთვული საზრდოლო თავაკის ტექნოლოგია გამოცდა

ირანმა გამოცდა ორსაფეხურიანი თერმობირთვული რეაქციის ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ბირთვული საბრძოლო თავაკის შექმნა. ამასთან დაკავშირებით МАГАТЭ-მ ირანის ხელისუფლებას გაუგზავნა შეკითხვა ჩატარებული გამოცდების დეტალების გასარკვევად.

ორსაფეხურიანი თერმობირთვული რეაქციის ტექნოლოგიის შექმნა ირანელი მეცნიერების დიდი ტექნოლოგიური მიღწევაა. გამოცდის დროს, თერმანმა „შეზაზრზე“ მიიღო ინფორმაცია ბირთვულ ტექნოლოგიებზე, რომელიც პაკისტანის ბირთვული ბომბის „მამის“ — აბდულ ყადრ ხანის შექმნილია. ამ ეჭვის საფუძველზე იძლევა ამ ტექნოლოგიის მაღალი სიროფე. საჭეუ არის, რომ ორსაფეხურიანი იმპლოზიის ტექნოლოგია, საშუალებას იძლევა მკვეთრად ამაღლდეს ურანის ან პლუტონის მძიმე ბირთვების სასარგებლო გამოყენების რეჟიმებზე, რაც დასავლელი მეცნიერების ბოლოდროინდელი მიღწევაა. ამჟამად ტექნოლოგიების გაყვარ-გაყვარების ბირთვული იარაღის გავრცელებლობის შეთანხმების თანახმად აკრძალულია.

ორსაფეხურიანი ბირთვული მრეწობისთვის სისტემის პირველი გამოცდა აშშ-ში 1952 წელს შედგა. სამჭობო კაბე შირში კი 1955 წელს.



ორსაფეხურიანი ბირთვული რეაქციის ტექნოლოგია საშუალებას იძლევა შეიქმნას უფრო კომპაქტური და ეფექტიანი ბირთვული საბრძოლო თავაკები, რომელთა განთავსება შეიძლება არა მარტო კონტინენტის ბალისტიკურ რაკეტებზე, არამედ გაცილებით მცირე სიშორის რაკეტებზეც კი. ირანის შემთხვევაში, საერაული, ლაპარაკია „მომხმის“ ტიპის ფრთიან რაკეტებზე ან ტაქტიკურ ავიაციის რეაქტივებზე. ამჟამად ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია რამდენიმე ათეული საფრთხილი ბომბდამშენი Cy-24, რომელიც ბირთვული საბრძოლო თავაკის ფრთიანი რაკეტების ტარება შეუძლიათ.

დასავლეთის შემოფიქრება ირანში ჩატარებული გამოცდის გამო იმითაც არის გამოწვეული, რომ თერმანს ვერც არ მოუწერია ხელი ურანის გამდიდრებ-

ის პროგრამის შეთანხმებზე. 19 ოქტომბერს რუსეთის, აშშ-ისა და საფრანგეთის მიერ მომზადებული დოკუმენტის თანახმად, ირანს სთავაზობენ მცირედ გამდიდრებული ურანის მარაგების შედგომა გამდიდრებისათვის რუსეთისთვის გადაცემას. შემდეგ გამდიდრებულ ურანს გადასცემენ საფრანგეთს, სადაც მისგან ბირთვული რეაქტორებისათვის დაამზადებენ საწვავის ლეროებს, რომლებიც, თავის მხრე, ირანს დაუბრუნდება.

თერმანს შიშობენ, რომ ურანის მარაგის დიდი ნაწილის გადაცემა დაზარალებს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ამიტომაც 20 ოქტომბერს ოცდაცხრამე თერმანმა განაცხადა, რომ შეთანხმების რამდენიმე პუნქტს განსახილველად МАГАТЭ-ს გადასცემს. თერმანი ამით ხელის მოწვევის გადაადგმას ცდილობს.

საქართველოში
339 08330
ეროვნული

გზაღება ავღანური მისიისთვის



ავღანეთში გამგზავრების წინ ქართველი სამხედროები ინტენსიურ მომზადებას გადიან

ორი კვირის განმავლობაში ვაზიანის პოლიგონზე საქართველო-აშშ-ის ერთობლივი სამხედრო სწავლება „დაუფრთხვებელი პასუხი“ მიმდინარეობდა.

თავად სწავლების დასასრულზე ერთგვარ უსიამოვნო ასოციაციას იწვევდა, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის წინ ვაზიანში სწორედ ამ სახელწოდების სწავლება გაიმართა.

ამჯერად, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა, თავად სწავლება კი საკმაოდ გასაიდუმლოებულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

სწავლების მიზანი იყო ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების (ISAF) ფარგლებში სპეცთავთა მოსამზადებელი კურსის ჩატარება იმ ქართველი სამხედროებისთვის, რომლებსაც მალე მოუწევთ ავღანეთში გამგზავრება.

წვრთნებისას, რომლებიც აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის სამხედრო ინსტრუქტორების მონაწილეობით მიმდინარეობდა, დიდი ყურადღება დაეთმო ქართველი მეთორების ანტიტერორისტული ოპერაციებისთვის მომზადებას.

ერაყისგან განსხვავებით, სადაც ქართული სამხედრო კონტინგენტი 2003-2008 წწ-ებში იმყოფებოდა, ავღანეთში ბევრად უფრო რთული ვითარება დახვდებათ ქართველ სამხედროებს. ავღანეთში, განსაკუთრებით მის

სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, პაკისტანის საზღვართან, ხშირად მძაფრი ბრძოლები იმართება.

ავღანეთის ანტიტერორისტული ომის სპეციფიკა ძალზე თავისებურია, რადგან „ალ-ქაიდას“ და „თალიბანის“ შებრძოლები ათასნაირ ეშმაკობას იყენებენ ჩასაფრებისა და მოულოდნელი თავდასხმის მოწყობისას.

ქართველმა სამხედროებმა ავღანეთში გამგზავრებამდე რაც შეიძლება უკეთ უნდა შეისწავლონ ყველა ეს ნიუანსი იმ ამერიკულ საზღვაო ქვეითებისგან, რომლებსაც ავღანეთში არაერთი თვე გაუტარებიათ.

თუმცა ვერც ერთი ყველაზე გამოცდილი სამხედრო ინსტრუქტორი იმას ვერ შეასწავლის, რასაც ადგილზე ნახავენ ჩვენი ბიჭები.

სირთულეებიდან პირველ რიგში გამოსარჩევია ტექმპერატურის მნიშვნელოვანი ცვლილება დატრიალის პერიოდში — დღისით დიდი სიცხე (ჩრდილში 50 გრადუსზე მეტი), ღამით თითქმის ყინვა. აუცილებელია თავის გაფრთხილება, რომ არ მიიღო შვის დარტყმა.

ათას ჯურის ქვეწარმელები და ინფექციური დაავადებების გადაღების საშიშროება ტერორისტების ტყვეებზე არანაკლებ სახიფათოა.

საბჭოთა პერიოდში ავღანეთში მე-

ბრძოლი ქართველი ჯარისკაცების უმეტესობას სიყვითლე ჰქონდა გადატანილი, რაც ძირითადად უხარისხო წყლისგან იყო გამომწვეული. ამჯერად, იმედიანაა, ქართველ სამხედროებს წვადი პლასტიკურ ბოთლებში ექნებათ არამც უნდა შეამკინოს ინფექციური დაავადებების გავრცელება.

კვლავ დიდ სამშრომელად რჩება ათასნაირი ნაღმი-სიურპარზი, რომლებიც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთის (ავტოკალმის, ელემენტის, მაგნიტოფონის და ა.შ.) სახითაა შენიღბული. ამიტომაც ჯობს გზაზე მოულოდნელად აღმოჩენილ რაიმე ნივთს არც ხელი ახლო და მით უმეტეს, არც ფეხი წაკერა...

ავღანეთში ჩვენს ბიჭებს მართლაც ელოდებოდათ მრავალი სახის საფრთხე, თუმცა საბჭოთა დროისგან განსხვავებით, როდესაც ავღანეთში საგადაღებო სამსახურის ჯარისკაცი ხშირად იძულებით მიჰყავდათ, დღეს კონტრაქტით მომსახურე ქართველ კაპრალს არაეინ აძალებს წასვლას.

უბრალოდ, ავღანეთში ბელინგებით წამსვლელებმა ათასჯერ მეტა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ და მუდამ ახსოვდეთ, რომ სამშობლოში ოჯახები ელოდებიან, ხოლო საქართველო თავისი დაცველების დაბრუნების იმედზე!

ირაკლი ალადაშვილი



არს M998 და არს M1114, გელოდ M1151

„არსენალის“ მე-17 ნომრის სტატიაში „შეიარაღებული შეჯავშნული „ჰამერები“ ქართულ არმიამ“ ვწერდით, რომ 30 ფელის ორფოლოს პოლიგონზე ნახევრები ქართულდროშაიანი „ჰამერები“ M1114-ის მოდიფიკაციის იყო და არა M998-ისა, როგორც ეს უმაღლეს მთავარსარდალს წარუდგინეს.

ამ „ჰამერების“ უფრო დაწვრილებით შესწავლის შემდეგ კი „არსენალმა“ თავისი შეტეობა შეაქმნა; არა, ეს „ჰამერები“ მართლაც არ არის M998-ის მოდიფიკაციის, მაგრამ ისინი არც M1114-ები ყოფილან, მათი ზუსტი დასახელებაა M1151, ანუ ისინი იმავე მოდიფიკაციას მიეკუთვნება, რომლებსაც ერაყში ქართველი სამხედროები რამდენიმე წელი ინტენსიურად იყენებდნენ.

რეალურად, განსხვავება M1114 და M1151 მოდიფიკაციებს შორის არცთუ ისე დიდია, ორთვე ოთხკარიანი, მოლიანად შეჯავშნული მაღალი გამკლობის HMMWV-ებია, ოლინდ M1151-ის შეჯავშნა უფრო გამძლეობს. ისე კი,



ქართული არმიისთვის შესიღული „ჰამერების“ ზუსტი მოდიფიკაცია HMMWV M1151 ყოფილა



M998

ორთვე მოდიფიკაცია ვიზუალურად ერთმანეთს ძალიან ჰგავს.

როგორც „არსენალმა“ გაარკვია, 31-ე ქვეითი ბატალიონი, რომელსაც ამერიკელი საზღვაო ქვეითები ავარჯიშებენ (მათ შორის „ჰამერების“ გამოყენებით), მომავალი წლის თებერვალში აფლანეთში ქართული „ჰამერების“ გარეშე გაემგზავრებიან. შეჯავშნულ „ჰამერებს“ ან უფრო ძლიერ ჯავშანქანებს ისინი, ეტყობა, ამერიკელებისგან ადგილზე მიიღებენ.

ირაკლი ალადავშილი

M1114



M1151



„სოფლიო შეიარაღებული ძალები“

საქართველოს თვდაცვის სამინისტროს განახლებულ ჟურნალ „სამხედროს“ დევიზია — „ცივლით შიარაღებული ძალები“. ჟურნალი ყოველთვიური გახდა, დამატებ უმარაგი ახალი რუბრიკა და გასართობი გვერდები. ახლა ის გაცილებით დინამიკური, ცოცხალი, შექმენებითა და კითხვადია.

მისი მოსულიშვილი, ჟურნალის რედაქტორი: — თვდაცვის სამინისტროში ბოლოდროინდელი ცვლილებებიდან გამომდინარე, ჟურნალის ძალზე დიდი მუხადლეა მიქეცა. ვარისკაცი უნდა იყოს განათლებული, ქაღალდზე დაბეჭდილი სიტყვა კი დიდი ძალაა, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა სახის საინფორმაციო საშუალებები მოქმედი ინფორმაცია. თანამდროვე არმია, მისი შიარაღება და საბრძოლო მოქმედებები, არის როგორც მეცნიერება, ასევე ხელოვნება. ამიტომ ჟურნალი გახდა თვისებრივად შექმენებითი, უფრო დინამიკური და ცოცხალი. აქ არის მოკლე სტატიები და უმარაგო რუბრიკა, რომლებიც ახახვს როგორც თემებს ჩვენი და მსოფლიოს სამხედრო ისტორიიდან, ასევე თანამდროვე შიარაღებასა და ტექნოლოგიურ მიღწევებს. ჟურნალში ასევე ნახავთ საცვლარეობებზე დაწერილ საინტერესო სტატიებს და არაერთ საინტერესო ფაქტს თუ ისტორიას ვლიტურ სამხედრო ნაწილებზე. გარდა ამისა, არის გასართობი გვერდებიც.

გადაწყვეტილია, რომ „სამხედრო“ იქნოს ყოველთვიური, რათა ვარისკაცებს მეტენისურად მოეწოდოთ ინფორმაცია.

— რა გუნდი შევიკრიბა ახალ ჟურნალზე სამუშაოდ და რატომ შეუცვალეთ მას სახელწოდება?

— ჟურნალს თვდაცვის სამინისტროს ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტები აკეთებენ.

რაც შეეხება სახელს, დავალბეული მქონდა, პირველი ნომერი გამოვეყვადე ძველი სათაურით — „ვემსახურები საქართველოს“ და შემდეგ ახალი მოკვეთილებინა, მაგრამ ისე გახიდა, რომ ხელფანი ნორმადენე ჟურნალი ახალი სახელით გამოედა. ამჟამინდელი სახელწოდება იოლად ფარმასხორეულია. ბატონმა გურამ ყარაშაველიმა მარეწა ჟურნალი „მხედარი“, რომელიც გერ 1918-1921 წლების თავისუფალ

საქართველოში გამოიღოდა, შემდეგ კი უკვე პარიზში უშეგდნენ იქ გაქვეული თენკრები. ეს იყო პირველი ქართული სამხედრო ჟურნალი და როგორც ხედეი, ამ ორი გამოცეცის სათაური ერთი სიტყვიდნად მოდის — „მხედარი“ და „სამხედრო“. უახლოეს ნომრებში ჟურნალ „მხედრიდან“ ჩვენ ვადმეგეტდეით ისეთ წერილებს, რომლებსაც აქტუალო-



ბა დღესაც არ დაუკარგავს. მაგალითად, გენერალ ვიორგი კვიციანიის წერილს „მხედრის ფიქრები“, სადაც აკაცი წერეილის პოემა „თორნიკე ერისთავი“ სამხედრო კუთხით არის განხილული.

— „ვემსახურები საქართველოს“ ორი ენაზე გამოიღოდა, რატომ მოხსენით ინგლისურის ტექსტი?

— ეს, ალბათ, ხედმეტი იყო. ჟურნალი ერთ ენაზე უნდა გამოიღოდა. მიზნობრივად, ჟურნალის იმ ნაწილს, რომელიც ინგლისურად იყო ნათარგმნი, ყველა ვარისკაცი ვერც გაეცნობოდა. ამიტომ გახდა ჟურნალი მხოლოდ ქართულენოვანი. თუმცა ეს იმას არ გამოიციხავს, რომ მისი განსახლებული რაოდენობა, მეცნიერებათ, ინგლისურადც გამოედის ჩვენი NATO-ული პარტნიორებისთვის.

— ამ პირველი, საცვლი ნომრის ნაკლებობებზე რას იტყვიან?

— ჟურნალში ვაკალი სამხედრო თემატკაზე მომუშავე ჟურნალისტების სტატიები და წერილები. სამწუხაროდ, ამ ხასიათის მასალების თარგმნა უცხოური ჟურნალებიდან გევიწევს. თუმცა ჩვენმა უწყებამ უკვე დაიწყო ამ პრობლემაზე

ზრუნვა. ცოტა ხნის წინ თვდაცვის სამინისტროს და პრეტენული ორგანიზაცია „ომისა და მშვიდობის გამოცეცის ინსტიტუტის“ (IWPR) ორგანიზებით გაიმართა კონკურსი ტელეკომუნიკაციებისთვის, რომელიც ხელს უწყობს ჟურნალისტთა გათავისებრებას და დანიტრეტეხებას სამხედრო სფეროთი. კარგი იქნებოდა, თუ მსგევის კონკურსი და ჟურნალისტებისთვისაც მოქმედიოდა, რომლებიც პრესაში აშუქებენ სამხედრო თემატკას. ბოლოს და ბოლოს, თვით ჰემინგუეიც სამხედრო კორესპონდენტო იყო დღევანდელ ქართულ სამხედრო პრესაში, მსგევის კარდების დიდი დეფიციტია...

— მინისტრისგან როგორი შეფასება მიიღეთ?

— ყოფილმა და ამჟამინდელმა მინისტრებმაც იცოდნენ ჟურნალის განახლების შესახებ. უფრო სწორად, ეს პროექტი მათი სურვილითა და მონდობით განხორციელდა. მინისტრის მხრიდან მოწონება უფრო იყო, ვიდრე კრიტიკა. მან რადენიმე რჩევე მოგვცა, რომ შიარაღების თემაზე მუშაობისას ვერადლემა მიგვეცია ანტისატანკო და ანტისასაჰაერო ინოვაციებისთვის, ასევე NATO-სთან ინტეგრაციის თემისთვის. პრინციპში, ეს მართლდება ჟურნალის კურსის განმსახლებლია.

— ჟურნალ „არხენალის“ გამოცვლილმა თუ გამოვადგათ საპოლიტო ნომრებზე მუშაობისას?

— სანამ თვდაცვის სამინისტროს ჟურნალის რედაქტორად მომიხვედნენ, ბუნებრივია, ძანამდეც ვეცნობოდი „არხენალს“, მაგრამ ვიდრე ჟურნალი „სამხედროსთვის“ თემისა და რუბრიკების ჩამოყალიბებას დავიწყებდი, გავეცანი როგორც NATO-ს წვერი თითქმის ყველა ქვეყნის თვდაცვის სამინისტროების, ასევე სხვა უცხოეზიან სამხედრო ჟურნალებს, თუ რა სტრუქტურით არიან რეგებული, რა დანიშნულება აქვთ როგორც მინისტრობი აუღებთრია მკეთო. ეს ყველაფერი გავითვალისწინეთ და შევეცადეთ განახლებული ჟურნალი მაქსიმალურად მოგვეგეო ქართული ვარისკაციისთვის.

— როგორ წარმოგიდგინათ ამ ჟურნალის მომავალი?

— ვეცდებით ყოველი მომდენრი ნომერი წინაზე უკეთესი იყოს.

ქართული მსველები ნარმატება უკრაინაში



BODYGUARD არის პროფესია, სადაც გონიერად, გონებრივად და მორალურად მზარე ერთნაირად ძლიერი უნდა გქონდეს. ამ პროფესიის საფუძვლის საფასური შესაძლოა სიცოცხლე იყოს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

პირადი მცველის პროფესიული მზაობა შეუდარებელი უნდა იყოს, ამიტომ იგი მუდმივ სრულყოფას საჭიროებს. სწორედ ამ ოსტატობის ამაღლებების სურვილმა განაპირობა სამსხედრო-გამოყენებითი სპორტის ჩამოყალიბება და მოვლანებით ამ სპორტის სახეობებში ტურნირების გამართვა. შეჯიბრება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმა და სტიმულია, რომ ბოლიგარდები მუდმივად ფორმაში იყვნენ. შეჯიბრებისას მონაწილეები რეალობასთან მიახლოებული სიტუაციების ფონზე უკვე შექმნილ ცოდნასა და შესაძლებლობებს წარმოაჩენენ. იქიდან გამომდინარე, რომ პირადი მცველი ადამიანის სიცოცხლეზე აგებს პასუხს, მთხოვნებიც განსაკუთრებული წაყვებება. მას უნდა შეძლოს საფრთხის წინასწარ ამოცნობა და განსაზღვრა; პერსონის დაცვა საკუთარი ძალით ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით; ასაფეთქებელი ნივთიერების აღმოჩენა და საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა; ასევე მანქანის ვერტუოზულად მართვა ექსტრემალურ პირობებში და სხვა მრავალი.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი საერთაშორისო ტურნირი „პირადი მცველი“ 1999 წლიდან აკრე უკვე მეთერთმეტე წელია იმართება უკრაინაში, რომელშიც ითიქის სისტემატურად მონაწილეობს საქართველოს გუნდიც.

მიმდინარე წლის 20-23 სექტემბერს უკრაინის ქალაქი იალტა ყველაზე კარგად დაცული ადგილი იყო მთელ მსოფლიოში, რადგან აქ შეიკრიბა 12 ქვეყნის სახელმწიფო თუ კერძო უსაფრთხოების სამსახურის 100-ზე მეტი საუკეთესო

თანაშრომელი. წელს ტურნირში 24 გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის რუსეთის, ბელორუსიის, ლიტვის, ინგლისის, ბულგარეთის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების გუნდები. მონაწილე ქვეყნების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს და თუ ტურნირს აქამდე საერთაშორისო სტატუსი ჰქონდა, მოსკოლი წლიდან მსოფლიო ჩემპიონატის მატუქსს მიიღებს და, ბუნებრივია, მონაწილე ქვეყნების რაოდენობაც გაიზარდება.

საქართველოს ტურნირში მონაწილეობის საშობ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქართველმა ბოლიგარდებმა პირველივე წელს მესამე ადგილი დაიკავეს. შემდეგ მიზეზთა გამო 2003 წლამდე ვეღარ შეძლეს ასპარეზობა, მაგრამ 2003 წლიდან, გარდა 2004 წლისა, წელი არ ჩაუვლიათ და ითიქის უცვლელი შემადგენლობით საქართველო შედეგში ყოველთვის მესამე ადგილს იკავებენ. მათ მხოლოდ ბელორუსიისა და მასინძელი ქვეყნის, უკრაინის ნაკრები გუნდები უსწრებენ, სადაც ეს სპორტი უკვე ხელოვნების დონეზეა. წელსაც საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გუნდი, შემდეგი შემადგენლობით ილია შუბითიძე, გრიგოლ გოვალაძე, რამაზ შაველაშვილი, ზვიად ლორთქიფანიძე, უკრაინიდან ბრინჯაოს მედალით, თანხები და





საერთაშორისო დონის სერტიფიკატებით დატრენინგდნ. თანაც, საპირის ადგილზე გასულა ავტომობილურად სპორტის ოსტატის ტიტულსაც განიჭებს.

ამ საერთაშორისო ტურნირის მკაცრად განსაზღვრული წესები აქვს. გუნდები ერთმანეთს რამდენიმე სახეობაში უვებიან. მონაწილეობა ყველა მათგანში საეაღებულა, შდგვი საერთო ქულების ჯამით გამოვლინდება. შეჯიბრება კი შემდგვ სახეობებში იმართება:

1. ქვეითი გაცილებს დროს მინუნელაჟი პერსონის ტექნიკით და ტაქტიკური დაცვა, რომლის დროსაც პერსონაზე ხდება თავდასხმა. გამოყენებულია მრავალჯერადი ცეცხლსარილი იარაღი. ასევე ხდება ფიზიკური დაპირისპირებაც. ერთი მკველი იგერებს თავდასხმას, ხოლო დანარჩენებს უსაფრთხო ადგილამდე გადასაყვით დაცვის ობიექტი;

2. პერსონის დაცვა შენობებიდან გახსნილი ცეცხლისას ქვეითი გაცილებს დროს. ამ შემთხვევაში VIP-პერსონა დაცვის თანხლებით მანქანის მიმართულებით გადაადგილება. სამხენების გამოჩენიდან 4 წამში ერთ-ერთი მკველი თითო სამიხენზე, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ, სამ გასროლას ახდენს, დანარჩენი ორი კი საკუთარი სხეულით ფარავს პერსონას და მანქანაში სეამს მას;

3. ინდივიდუალური ჩქაროსნული სროლა სხვადასხვა პოზიციიდან. სროლა 12 მეტრზე ხორციელდება სხვადასხვა პოზიციიდან, ხუთი სამიხნის მიმართულებით, 20 წამში. თითო კაცზე 10 ვაზნა განსაზღვრული;

4. სროლა მანქანიდან ტერორისტების წინააღმდეგ. ამ დროს მონაწილეები მანქანაში სხდან და მთორ მანქანის მკვეტის მიმართულებით მოძრაობენ. ამ დროს ჩნდებაან „ტერორისტები“, სამიხენები, მკველები მანქანიდან ხტებიან და მწოდლარე მდგომარეობა-

ში, ისე, რომ კარს ფარებან იყენებენ, 3-3 გასროლით იგერიებენ მოწინააღმდეგე;

5. ხელჩართული ბრძოლა; 6. დაბრკოლებების გადალახვა ავტომობილით ვისაც მართვის მოწმობა აუღია, მისთვის მხელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ეს ტური, მაგრამ აქ სქემა უფრო გართულებულია და სიჩქარეც მეტი;

7. სამედიცინო დახმარების გაწევა და წინააღმდეგობის დაძლევა; ამ შეჯიბრებაში გუნდის მონაწილეებს დაჭრილი 300-350-მეტრან დისტანციებზე გადასაყვით, თანაც დაახლოებით 2-მეტრანი დაბრკოლებების გადალახვით;

8. ასაფეთქებელი მოწყობილობის ძებნა ავტომობილში. მანქანაში განთავსებულია ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა. ძებნა, რომელიც 15 წუთი გრძელდება, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით მიმდინარეობს.


ამ ყველაფერს ბოლივარდები საუკეთესოდ ასრულებენ. ეს ბუნებრივია, რადგან დაცვის სამსახურში სუსტების ადგილი არ არის და მათ უმეტეს, საერთაშორისო ტურნირზე მათ არაიენ დაუშვებს. თუმცა ერთი გამონაკლისი აქაც არსებობს, რუსების სახით, რომ-

ლებსაც ვიველ წელს რამდენიმე გუნდი კვაით წარმოდგენილი, მაგრამ არა რუსეთის პრეზიდენტის პირადი დაცვლიან, არამედ დაცვის ყველა სამსახურებიდან. მოკლედ, რუსები ლეიბების საშუალებას იტოვებენ. მოგების შემთხვევაში სახელი დაეჭმეათ, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბოლივარდმა გაიმარჯვა, წავება კი ერთ-ერთი ყველა დაცვის სამსახურს მიწერება, თუმცა ფაქტზე სახეზეა, რომ რუსები 11 წლის მანძილზე მუქვეს ადგილს ვერ გასცდნენ.

ტურნირის ამ წლის სახალე სუსტი სქეის წარმომადგენლების გამოჩენა იყო გუნდ „სახითი“ სახით, რომელშიც რუსი, ბელირუსი და უკრაინელი გოგონები შედიოდნენ. როგორც ვაგარკევი, მათზე შეთავაზობა არ ვრცელდება და მათ ისევე აფასებდნენ, როგორც მონაწილე მამაკაცებს.

დასანანია, რომ ქართველ მკვეტებს ამ მართლაც შესანიშნავი სანახაობისა და ქართული მონაწილეების შესანიშნავი გამოხვლის ხილვის საშუალება არ მიუცა. შესაბამეადი ამდენ გუნდებში საკმარე კარგი შედეგა, მაგრამ ქართველები მაქსიმალისტები ვართ და მეტი გვინდა. ამიტომ ვისურვებდი, რომ მომავალ წელს ქართველი ბიჭებისთვის ოქროს მედალი მიგვედოცოს. დასასრული, არ შეგვიძლია, არ აღინიშნოთ ერთი რამ: ამ სამხედრო-გამოყენებით სპორტის პოპულარიზაცია სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ჩვენიან თითქმის არ ხდება, არადა საკმაოდ საინტერესო იქნებოდა შიდა, შესარჩევი ტურნირების ჩატარება, სადაც დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურების ძლიერი და სუსტი მხარეებიც უკეთ გამოვლინდებოდა და ქართველი ბოლივარდებიც ფიზიკურად და მორალურად უკეთ მომზადებულიები წარდგებოდნენ საერთაშორისო ტურნირებზე

ნიმე მამუკაძე





ოჩამჩირის პორტი და მისი უსაქალაქოება

რუსეთის მომავალ სამხედრო გემებს ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე და კრძალ ოჩამჩირაში საზღვაო ბაზირების პუნქტის მოწყობამ დიდი ადგილი დაიკავა.

ქართულ მედიამა ხშირად სამხედრო-საზღვაო ბაზას და საზღვაო ბაზირების მანუერებისათვის აიკვებენ, რაც არასწორია.

თავად რუსული სამხედრო-საზღვაო განმარტების სამხედრო-საზღვაო ბაზა ზღვის სანაპიროსა და მიმდებარე აკვატორიის მოწყობილ-დაცული ნაწილია, სადაც ფლოტის ძალების ბაზირებისა და მანუერებისათვის საჭირო პირობებია შექმნილი. იგი აერთიანებს სტაციონარულ, მოძრავ თუ მცურავ საშუალებებს, ყველა ამ ძალასა და ზურგის სამსახურს, რომლებიც იქ მყოფი ძალების ყოველმხრივი უზრუნველყოფისათვის აუცილებელია.

განსხვავებული განმარტება აქვს ბაზირების პუნქტს, რომელიც ასევე ზღვის სანაპიროსა და მიმდებარე აკვატორიის ნაწილს წარმოადგენს ხომალდების საღვთობებისა და უზრუნველყოფის ყველა საშუალებით.

რუსეთს შუა ზღვაში ორი სამხედრო-საზღვაო ბაზა აქვს — სეესტოპოლში 2017 წლამდე უკრაინისაგან არჩედილი აღებული რამდენიმე ყურე და საკუთარი ნიუროსისიკა.

ბაზირების პუნქტებად შუაზღვისპირა თითქმის ყველა პორტი განიხილება და იქ ამჟამად რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვაო სამსახურის სანაპირო დაცვის მცურავი საშუალებებია განთავსებული.

რუსეთის სანაპირო დაცვამ აფხაზეთის პორტებისაგან ნაოსნობის უსაფრთხოებ-

ის დაცვის მიზნით და სინამდვილეში კი სამოქმედო არეალის გასაზრდელად ოჩამჩირაში მიმდინარე წლის სექტემბრიდან სანაპირო დაცვის დევიზიონს აყალიბებს.

ოჩამჩირის სადარაჯო კატარლების საღვთომად და ბაზირების პუნქტად 1923 წლის დეკემბრიდან 1996 წლის აგვისტოსექტემბრამდე საბჭოთა და შედგომში რუსული სასაზღვაო საზღვაო ძალები იყენებდა.

იყო გამონაკლისი შემთხვევები, განსაკუთრებით მჭირე მსოფლიო ომის დროს, როცა ოჩამჩირაში შუა ზღვის ფლოტის წყალზედა თუ წყალქვეშა ხომალდები იძულებითი შემოვიდნენ.

1941 წლის 30 ოქტომბერს გერმანელებმა სეესტოპოლი და იქ მდებარე შუა ზღვის ფლოტის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა ხმელეთიდან ბლოკადაში მოაქციეს. გერმანული ავიაცია ფლოტის მცურავ საშუალებებს რეგულარულად ბომბავდა, ამიტომ საბჭოთა წყალქვეშა ნაუგებს ბაზირებისათვის ტუაჟისა და ნიუროსისიკაში გადმინაცვლეს.

1942 წლის შემოდგომაზე ტუაჟს-ნიუროსისიკისათვის მიმდინარე მძიმე ბრძოლების გამო შუა ზღვის ფლოტის ხომალდები და მათ შორის წყალქვეშა ნაუგები საქართველოს პორტებში — სოხუმში, ოჩამჩირაში, ფოთსა და ბათუმში გადმოვიდნენ.

ბაზირების პუნქტების შეცვლამ უარყოფითად იმოქმედა საბჭოთა წყალქვეშა ნაუგების გამოყენების ეფექტურობაზე. გაიზარდა მონივრულდგვის საზღვაო კომუნიკაციებზე გადასვლის დრო და შესაბამისად პოზიციებზე ყოფნის პერიოდი შემცირდა. ამასთანავე კავკასიის პორტებში მცურავი საშუალებების სარეზერტო პირობები შესაძლებელ გაუარესდა.

წყალქვეშა ნაუგები ოჩამჩირაში მცირე ხნით, ისიც რაიმე შემთხვევის გამო თუ ჩერდებოდნენ.

1941 წლის სექტემბერში ნიკოლაევიდან ოჩამჩირაში საგამოცდელ ცვლამ მყოფი წყალქვეშა ნაუგები: M-117, M-118 და M-119 შემოვიდა. ოქტომბრის ბოლოს სამეფო მყოფობში შევიდა და ოჩამჩირა დატოვა.

1943 წლის 22 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონში წყალქვეშა ნაუგები M-51 დაიღუპა. დანებლები სელის დროს კრესერული მგლობრობიდან პოზიციურზე გადასვლის გამაწინასწარებელ და დიფერენცულ ცისტერენებში მისაღები წყლის რაოდენობის არასწორი გათვლის მიხედვით წყალქვეშა ნაუგები სავალი ვიზურობის დააღუპა ჩაიბრა.

აგრის 8 კაცი ემსხვერპლა, ხოლო 11-მა წყალქვეშა ნაუგოში ჩაიბრა სუბმარინიდან დამოკიდებლად გამოდევნა და ნაპირზე ცურვით გამოსვლა მოახერხა.

სამი დღის შემდეგ 25 სექტემბერს საავარიო-სამაშველო გემმა წყალქვეშა ნაუგო ამოსწავა და რეინტის შემდეგ M-51 შუა ზღვის ფლოტის ისევ დაუბრუნდა.

რეგი ორგანიზაციული ცვლილებების შემდეგ 1967 წლის მარტიდან ოჩამჩირაში განთავსებული წყალქვეშა მანუერების ნაწილს ახალი და საბოლოო სახელი — მე-6 ცალკეული სადარაჯო ხომალდების ბრიგადა ჩქოდა.

ბრიგადის დაქვემდებარებაში 1962 წლიდან ამყოფებოდა საციალური სამსახურის ხომალდებისა და კატარლების ვჯუფი, რომელსაც მეთრენარად სამაჯობო დევიზიონსაც ეძახდნენ.

ეს დევიზიონი სოჭში ბაზირებდა და სოჭსა თუ ბიჭვინთაში ჩაბოლოებული საბ-

„სტენკას“ პროექტის ეს კატარა ნაპირზე ცუდი ამინდის გამო აღმოჩნდა



ჭოთა კავშირის უმაღლესი პარტიული, სახელმწიფო თუ სამხედრო პირების ზღაპრულ დასვენება-დროს ტარების დაცვას უსაზღვროდ.

საჭოთა კავშირის დაშლის წინ მე-6 ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდა: 10 „გრიფი“ (პროექტი 1400M), 11 „სტენკა“ (პროექტი 205N), 3 „ანტარესი“ (პროექტი 133) და სხვადასხვა პროექტის 8 მცურავი საშუალება.

1980 წელს ბრიგადის დაემატა „ანტარესის“ პროექტის წყალქვეშა ფრთებიანი საპატრულო კატარა ПСКР-102 „ოამჩირე“.

1989 წლის 19 აგვისტოს ოამჩირეში შესასვლელი ბაზრების პუნქტში საგანგებო შემთხვევა მოხდა. გემისადგილმითან ფოთის ბრიგადის საბაზო მტრალაგ BT-251-ზე (პროექტი 257ДТЛ) 16:23 საათზე რამდენიმე აფეთქება მოხდა და ხანძარი განჩნდა. ხომალდის ხას კორპუსი ორად გაიპო და 8-10 მეტრის სიღრმეზე ჩაიძირა.

იმ დროს ეკაპაის დიდი ნაწილი ნაპირზე იმყოფებოდა და აფეთქებას 4 კაცი ემსგერბოდა.

ოთხი დღის შემდეგ შავი ზღვის ფლოტის საავარიო-სამაშველო სამსახურის გემებმა ხომალდის ნაშთები წყლიდან ამოსწიეს.

აუზანეთის კონვოლიტის დროს 1992-93 წლებში ბრიგადი არარსებული საჭოთა კავშირის საზღვაო საზღვრების დაცვას აგრძელებდა და ოფიციალურად „სეიტრალეიტერს“ ასე თუ ისე, ინარჩუნებდა.

რამდენიმე შემთხვევაში რუსმა საზღვაო შესასვლერებმა თურქულ გემებს სუპარატისტო კონტროლქვემ მყოფ სანაპიროსთან მიახლოების საშუალება არ მისცეს, მაგრამ აუზან შკობრეთა მზრიდან შვიდობიან ქართულ გემებზე თვდასხმები არ აღკვეთეს.

იყო ქართული მცურავი საშუალებების მიმართულებით ცეცხლის გახსნის რამდენიმე შემთხვევა.

ბრიგადის პირადი შემადგენლობიდან ზოგიერთი მიქმანი და რიგითი იმყოფდნო-

ლად სეპარატისტო ფლოტში სამსახურსაც თოვსებდა.

1992 წლის ბოლოს ბრიგადის სასწავლო კატარების ჯგუფიდან 3 „გრიფი“ ჩამოიწერა და განიარაღებულ მდგომარეობაში კრიზო ფრთებზე გაიყვია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სამეფ კატარა აფხაზთა ხელში აღმოჩნდა.

ბრიგადი 1996 წლის შემოდგომიდან სამსახურს კასპის ზღვაში განაგრძობს და ოამჩირეში მის ადგილს ფორმირების პროცესში მყოფი ახალი დევიზიონი დაიკავებს.

25 თვის რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის ადმირალ ვლადიმერ იოსოცკის თქმით, ოამჩირეში ცალკეული ტაქტიკური ჯგუფი უნდა განთავსდეს.

გაურკვეველი შინაარსის ტაქტიკური ჯგუფი ალბათ მტრალაგებსა და პატარა სარაკეტო ხომალდებს გულისხმობდა.

ოამჩირეში მიმდინარე კვლევა-ძიების შედეგები რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა შტაბმა შეაჯამა და ბაზირების მომავალი პუნქტის კარგი მახასიათებლები და იმედოვნოლად ძლიერი ლამიანობა აღნიშნა.

მაგრამ მოსკოვის გეგმები შეიცვალა და როგორც ჩანს, ოამჩირე სამხედრო-საზღვაო ფლოტმა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვაო სამსახურის სანაპირო დაცვას დაუთმო.

აგვისტოს დასაწყისში კი ცნობილი

წყალქვეშა ფრთებიანი „ანტარესები“ ბრიგადის გველაზე სწრაფი ხომალდები იყო



გახდა, რომ აუზანეთის საზღვაო სანაპირო და თურქულმა ქვეანხმირის მომყოფელმა კომანდა Tamsah-მა ოამჩირის პორტში გადრამკების საშუალები დაიწყო. თურქეთიდან შეპოტანობა სპეციალურმა მისამწოვმა სიდრემ 4-დან 9 მეტრამდე უნდა განზარდოს, რაც 10 ათას ტონამდე წყალწვევის გემების ძილების პირობებს შექმნის.

Tamsah-ი რამდენიმე წელია ტყვარჩელთან ქვეანხმირის მოპოვებაზე მუშაობს და მრავალი სიძნელის მიუხედავად, აფხაზეთი არ დატოვა. კომპანია იმეტიობა მოპოვების საპროექტო მანქანებს 100 ათას ტონის მიაღწია და ოამჩირის პორტში მიმდინარე საშუალებივც ამას უნდა უკავშირდებოდეს.

აქამდე პორტი მხოლოდ 2-2,5 ათასი ტონა წყალწვევის გემებს იღებდა და გრუნტზე გემის ფსკერის გამოძობის შემთხვევებც ხშირი იყო. თანაც ქვეანხმირის წერლ პარტიებად ზიდავ თურქებს პატარა მივებებს აძლევდა. ახლა რუსული საპატრულო კატარების დაცვით ბუფრად მტრე ქვეანხმირის გატანის შეძლებენ და მოვებასაც გაზრდიან.

კვლევა აუცილებელი ინფრასტრუქტურა, რაც თინამდროვე საუკუნო პორტს შეუფერება, ოამჩირეში არ არის და არც ამის პერსპექტივა არსებობს.

რეალურად პორტი რამდენიმე სატვირთო მოედინსაგან შედგება, რომელიც მხოლოდ საყარი ტვირთების ძირითად და ქვეანხმირისა და შვი ლითონის ჯარითს დამუშავებაზეა მორეგული.

დატვირთვაზე კი 100 ტონა ტვირთამწოების მცურავი აწვე „ჩერნომორეც-4“ (პროექტი 1511, წყალწვევა 847 ტონა) მუშაობს.

ოამჩირის შემთხვევაში რუსი საზღვაო შესასვლერებისა და თურქი ბიზნესმენების ინტერესები ერთმანეთს ეთოხვება და ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

თომურ ჩაჩინაძე

ADEX 2009

20 ოქტომბერს სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულის მახლობლად, სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა სონმუზე, აზიაში ერთ-ერთი უმსხვილესი, რავით მუშაზე საერთაშორისო ავიაციის და თავდაცვითი შეიარაღების გამოფენა **Seoul Air Show** გაიხსნა. გამოფენა დასაბამს 1996 წლიდან იღებს და მას შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ოქტომბრის მეორე ნახევარში ტარდება. გამოფენის სრული სახელწოდება **ADEX-2009-ია** — **Korea Aerospace & Defense Exhibition**. საგამოფენო ექსპოზიციის ტერიტორია დაახლოებით 120000 მ²-ს შეადგენს და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოფენის გარდა, სალონზე სემინარები და კონფერენციები ტარდება.

სალონის საზეიმო ვითარებაში სამხრეთ კორეის სამხედრო-საჰაერო ძალების საბილთაუო გუნდმა **Black Eagles**-მა გახსნა, როგორც სხვა ამგვარ გამოფენებზე ხდება, **ADEX-2009**-ზეც გამოფენილ ტექნიკის ნიმუშებს შორის მასპინძელი ქვეყანა დომინირებდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებაში არსებული ტექნიკის თითქმის ყველა ნიმუში სამხრეთკორეელებს გადაკეთებული



და „თავის ჭკაზე“ ჰყავთ მორგებული. ავიაბაზის ასაფრენ-დასაფრენი ბილიის გასწვრივ შეიძლება ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელ **F-15K**-ს, სატრანსპორტო **C-130**-ის, შვეულმფრენების: **Ka-32**-ის, **CH-47**-ისა და **UH-60P Black Hawk**-ის ნახვა. კორეულ საავიაციო ტექნიკის ნიმუშებს შორის ყველაზე საინტერესო ვგზემლარს მსუბუქი ორადგილიანი ზებეკებითი სასწავლო თვითმფრინავი **T-50 Golden Eagle** — „ოქროს არწივი“

წარმოადგენდა. მასზე ერთობლივ მუშაობა კორეულმა **Korea Aerospace Industries**-მა და ამერიკულმა **Lockheed Martin**-მა 90-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწვეს. სწორედ ამერიკელი პარტნიორის დამსახურებაა, რომ „ოქროს არწივის“ გარეგან იერსა და ცალკეული აგრეგატების ფორმებში ამერიკული გამანადგურებელ **F-16**-ის ამოცნობის შეიძლება. თვითმფრინავი პირველად 2002 წლის 20 აგვისტოს აფრინდა პაერში. მისი სიგრძე 12,9 მ-ს, ფრთის

კორეული თვითმავალი პაუბიკა **K-9**



გამანადგურებელი **F-15K**





ნარმოდგენილი ტექნიკის
მრავალფეროვნების
მიუხედავად, გიგანტმა
A-380-მა ყველაზე მეტი
ყურადღება მიიპყრო



კორეის სამხედრო-საჰაერო ძალების
კუთვნილი შვეულმფრენები UH-60 და Ka-32

გაქანი კი 9,17 მ-ს შეადგენს. ცარიე-
ლი თვითმფრინავი 6350 კგ-ს იწონის,
მაქსიმალური ასაფრენი მასა 13470
კგ-ს შეადგენს. მაგრამ ყველაზე საინ-
ტერესო ის არის, რომ მისი ფრენის
მაქსიმალური სიჩქარე 1400 კმ/სთ-ია.
თვითმფრინავის ღირებულება 21 მილი-
ონ დოლარს შეადგენს. დღესთვის გა-
მოშვებულმა მანქანების რიცხვმა 50-ს
გადააჭარბა. სულ კი სამხრეთ კორე-
ის სამხედრო-საჰაერო ძალები 82
„ოქროს არწივის“ შემენას გვევლინენ.

საღონზე მრავლად იყო წარმოდგე-
ნილი ამერიკული საავიაციო ტექნიკის
ნიმუშებიც. მოიერნა A-10A, სა-
ტრანსპორტო თვითმფრინავები — C-
17A და C-130J, დამრტყმელი შვეულ-
მფრენი AH-64. გამოფენის საფრენოს-
ნო პროგრამაში საპილოტაჟო გუნდე-
ბიდან კორეული Black Eagles-ი და
ამერიკული Thunderbirds-ი მონაწი-
ლეობდნენ. მიუხედავად ამისა, აუიასა-
ლონზე ყველაზე მეტი ყურადღება





ზებეგვრითი სიჩქარის წყალობით, სამხრეთ-კორეული „ოქროს არწივი“ ძალზე პერსპექტიულ საბრძოლო-სასწავლო მანქანათა კლასს მიეკუთვნება

მსოფლიოში ყველაზე დიდად საბგზავრო თვითმფრინავმა A-380-მა მიიპყრო, რომლის პირველი საცდელი ნიმუშიც კორეაში მოსკოვიდან ჩაფრინდა. სულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 75 სხვადასხვა სახის საფრენი აპარატი, კიდევ — 63 მოდელისა და მაკეტების სახით.

რაც შეეხება სახმელეთო ტექნიკას, მასპინძელმა ქვეყანამ თვითმავალი პაუბტა K-9, საინჟინრო მანქანა K-10, ქვეითთა საბრძოლო მანქანა K-21, Chunma-სა და Biho-ს ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და ძირითადი საბრძოლო ტანკი K-2 Black Panther-ი გამოიყვანა. მასზე მუშაობა 1995 წელს დაიწყო, შეიდი წლის განმავლობაში პროგრამაზე 230 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ტანკს შეიანწყობის კლასიკური სქემა აქვს, მისი ეკიპაჟი სამი კაცისგან შედგება და 120 მმ-იანი გლუვულიანი ქუეშებითაა შეიარაღებული. მომავალში მისი

140 მმ-იანი შეცვლა არის დაგეგმილი. ტანკს დატენის ავტომატური მექანიზმი აქვს და 16 ჭურვს იტევს. კიდევ 23 ცალი მთავარი კორპუსის ნაკვეთურში ინახება. სწრაფსროლა წუთში 15 გასროლას უტოდლებს, დატენის ავტომატური მექანიზმი ფრანგულ „დეკლერკზე“ დაყენებულის ანალოგიურია.

ტანკის საბრძოლო კომპლექტის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია KS-TAM-ის ტიპის თვითმიზნებადი ჭურვები, რომლებითაც სროლა მოწინააღმდეგის ტანკის მიმართ ბალისტიკური ტრაექტორიითაც შეიძლება. ჭურვის გამოყენების დისტანცია 8 კმ-ია. სამხრეთ კორეის მთავრობის გეგმის თანახმად, 2010-11 წლებში ამ ტიპის ახალი ტანკებით მწვობრში არსებული K-1-ის სერიის ტანკების შეცვლაა დაგეგმილი.

როგორც ჩანს, სამხრეთ კორეა ყველანაირად ცდილობს შეიარაღების

მსოფლიო ბაზარზე ფეხის მოკიდებას. მთავრობის გეგმით 2012 წლამდე შეიარაღების გაყიდვიდან წლიური შემოსავალი 3 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება.

სალონის ბოლო ორი დღე ღია იყო და წარმოდგენილი ტექნიკის დათვალიერება ყველა მსურველს შეეძლო. რაც შეეხება ოფიციალურ სტუმრებს, გამოფენაზე მალაიზიის, მონღოლეთის, პოლონეთის თავდაცვის მინისტრები, გერმანიისა და რუსეთის სამხედრო-საპაერო ძალების სარდლები იყვნენ. სულ ADEX-2009-ზე სხვადასხვა სახელმწიფოს 47 სამხედრო დელეგაცია იყო წარმოდგენილი.

გამოფენა 25 ოქტომბერს დასრულდა. მასზე თავისი პროდუქცია მსოფლიოს 27 ქვეყნის 273 კომპანიას ჰქონდა წარმოდგენილი. სალონს 300 ათასი დამთვალიერებელი ესტუმრა.

თეშერ პულუზაშვილი

2004 წელს კორეის სამხედრო-საპაერო ძალების აკადემიამ კურსანტების მომზადების მიზნით რუსეთისგან 23 Il-103 შეიძინა



უახლოეს მომავალში კორეა თავის სიტანკო პარკს K-2-ებით სრულად განაახლებს. გარდა ამისა, მისი შექმნის შესაძლებლობას თურქეთიც განიხილავს



მრავალმხრივი დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატი

საქართველო
საინჟინერო

წელს საერთაშორისო საჟაფრეო გამოფენა Aero India 2009-ზე დიდმა ბრიტანეთმა მრავალმხრივი დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატი MAN-TIS-ი წარადგინა.

მომავალი თაობის უპილოტო საფრენი აპარატი უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით BAe Systems British-ში შეიქმნა და მისი დანიშნულება იქნება საჟაფრო დაზვერვა, სამხრეგზე მონაცემთა გადაცემა და სახმელეთო სამიზნეების მალალი სიზუსტის იარაღით განადგურება, რისთვისაც შეიარაღებულიდან ზანერული დამონების 6 ბომბ GBU-12-ს ან „საერი-მისა“ კლასის 12 ჯაშანგამტან რაკეტა Brimstone-ს ატარებს.

აპარატის ფრენის სიმაღლე 15420 მეტრი, სიჩქარე საათში 370-555 კმ, ფრენის ხანგრძლივობა კი 24-30 საათია.



სამდინარო-საკაბრულო ხომალდი

საქართველოს
განგაშის სამსახური

დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს Tyne-ს სერიის გაუმჯობესებული სამდინარო-საკაბრულო ხომალდი P257 Clyde შეემატა.

40-წლიანი შესვენების შემდეგ პორტსმუთის ვერფმა პირველი სამხედრო დანიშნულების ხომალდი ააგო.

Clyde-ს სრული წყალწყვა 1847 ტონა, სიგრძე 81,5 მეტრი და მაქსიმალური სიჩქარე 21 კვანძია. ძალოვანი დანადგარი ორი დიზელისაგან შედგება და 11 ათას ცხენის ძალას გამოიმუშავებს. ეკონომიური 12 კვანძით ცურვის სიშირე 7800 მილია.

შეარაღებაში შედის ერთი 30 მმ-იანი ქვემეხი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი. აქვს შეუქცევადი მისაღები მოედანი, კაიბაჟი 36 კაცი საგან შედგება.

ხომალდი ამჟამად სამსახურს ატლანტის ოკეანეში, ფოლკლენდის კუნძულების მიმდებარე რაიონში გადის.



პარლამენტი

პრინციპალი
17

საქართველოს
განგაშის სამსახური

საქართველოს საგარეო საზღვარი

მიწი და ხეაღწობა

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „არსენალი“ №16-22


1918-1921 წლებში საგარეო დასვერვის სტრუქტურების არარსებობის გამო საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება საქართველოს ხელისუფლებას წინასწარ დაგეგმილი საეკონომიკური შუღლი კი არ იყო, არამედ უფრო სინტაქსურ და შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების პირად კონტაქტებს ენიჭებოდა. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო სკრიალის შტაბის წევრის, ცნობილი ჯიდაძე-დემოკრატის, დავით სადინარაშვილის მოკვლევებიდან ირკვევა, რომ რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე მას ინფორმაციას „შევიბრუნება“ აწვდიდა ძველი ნაცნობი, ცნობილი ბოლშევიკის, ლეკ კამენევის (როზენფელდის) მეშვეობით და ლეკ ტროცკის (ბრონშტეინის) და — ოლდა კამენევი (ბრონშტეინი). საინტერესოა, რომ ლეკ როზენფელდმა ტროცკის გიმნაზია დაამთავრა 1901 წელს და იქვე დაიწყო რევოლუციური მოღვაწეობა. ნოე ჟორდანიას მეშვეობით ერთი საინტერესო ფაქტს შეგვა, სადაინაც ირკვევა, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის საელჩოში აგენტს ჰყავდა, თანაც არა უბრალო ჩინოვნიკი, არამედ შპიოფრაი, რომლის ხელშიც უნდა გაველი ვეკლა საიდუმლო დოკუმენტს. ამ აგენტის ვინაობა უცნობია, დღეისთვის მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკების შეტევის დაწყებამდე მან საქართველოს ხელისუფლებას აცნობა: მოსკოვიდან რუსეთის საელჩოში საიდუმლო დეპეშა მიიღო, — ხვალ დილიდან გადავადიარებ შეტევებზე ფილიოს ზიდაძენო. თუმცა მენშევიკების მთავრობამ ვერც ეს ინფორმაცია გამოიყენა სათანადოდ. გარდა ამისა, ჟორდანიას წერს: „მე მძალევი ინფორმაციას ლეგენდისკი (ლაპარაკია ამიერკავკასიის ფრონტის ყოფილ სარდალ ლეგენდისკის შესახებ, რომელიც იმ პერიოდში თბილისში იმყოფებოდა — ბ. ა.). ერთხელ მან მიიხრა, — მოდის სამი ათასი კაცისგან შემდგარი კავალერია ფლობას შეთარობით. ეს ვაცნობე კვინიტაქეს, სასაცილოდ არ ვყო, ალბათ, ვინმე ფლობას ბიძაშვილია, ვიღაც

გატყუებსო. ასევე რუსეთის ფრონტების მდგომარეობაზე ჩემი ცნობები იყო მისთვის ვალბო და სხვა“ მართლაც, რომ სასაცილოა, სატირალო, რომ არ იყოს, — სახელმწიფოს პირველი პირი თუად ასრულებდა დასვერვის რუხინდენტის ფუნქციებს, აგენტები ჰყავდა კავშირზე და სამხედრო-პოლიტიკურ ინფორმაციას პირადად გადასცემდა სამხედრო ხელმძღვანელობას. იქ კი ჟორდანიას სასაცილოდ იგდებდნენ! ჯერ ერთი, ამკვარი საუბარი ქვეყნის პირველ პირსა და მთავარსარდალს შორის სცილდება გონიერულ საზღვრებს, მეორეც ამ პირველხარისხიან აგენტურულ წყაროებს გამოყენება ხომ სჭირდებოდა?

საინტერესოა, რომ გენერალი კვინიტაქე საკმაოდ კარგად იცნობდა ლეგენდისკის კავალტო სასწავლებელი ერთად ჰქონდათ დამთავრებული, შემდეგ კი ამიერკავკასიის ფრონტის გენერალურ შტაბშიც ერთად მსახურობდნენ, თუმცა 1918 წლის მაისში მათი დაპირისპირება ლაშის დუღლაძე მეფიდა, ამიტომ მხელა იმის მტკიცება, ლეგენდისკის ინფორმაციას საქართველოს მთავარსარდალი პიროვნული დაპირისპირების გამო არ ეწეო თუ სხვა, უფრო სანდო ინფორმაციები ჰყავდა.

ლეგენდისკი შუამავლის როლსაც კი თამაშობდა ჟორდანიასა და რუს ბოლშევიკებს შორის. ჟორდანიას თქმით, 1920 წლის დეკემბრის სესხიან დამეს სწორედ ლეგენდისკის სახლში შეხვდა ის წითელი არმიის ერთ-ერთ მეთაურს, ტოლსტოვს. ბოლშევიკებმა ფაქტობრივად ულტიმატუმო წაუყენეს საქართველოს ხელისუფლების პირველ პირს, — გაათავისუფლო ვეკლა ტრეკოვნიკი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბრძოლო მოქმედებებს დაიწყო. ჟორდანიამ თავი იმართლა, — ვეკლა კომუნისტს რუსეთში გამოგიგზავნით, თუ ოფიციალურად მოითხოვით. თუმცა რუსეთი თავდასხმის საბაზს ეძებდა და ეს შეხვედრაც უშედეგოდ, ვოვლეგავარი შეთანხმების გარეშე დასრულდა.

და აფრენა-დაფრენის დროსაც შასიზე მოქმედი დატვირთვა არათანაბრად ნაწილდება, სამაგიეროდ ის აეროდრომის უსწორმასწორო ზედაპირის იოლად გადალახვის საშუალებას იძლევა. შასის კიდევ ერთი ღირსება ის არის, რომ გველა ძირითადი დგარის სიმაღლის ცვლილება და მათი ცალკე გამოშვება შეუძლია.

პირველი პროტოტიპის აგების შემდეგ, 1965 წლის 27 თებერვალს თვითმფრინავი პირველად აფრინდა პაერში, ერთი წლის შემდეგ კი **AH-22**-ს **АНТЕЙ** შეარქვეს. მისი სიგრძე 57,9 მ-ს, ფრთის გაქანი 64,4 მ-ს, სიმაღლე კი — 12,5 მ-ს. ცარიელი თვითმფრინავი 115000 კგ-ს იწონის, მისი მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 250000 კგ-ს აღწევს. ძალური დანადგარის სახით თვითმფრინავზე **HK-12MA**-ს ტიპის ოთხი ტურბოპრაზნული ძრავაა გამოყენებული, სიმ-

АНТЕЙ დღემდე მსოფლიოში ყველაზე დიდ ტურბოპრაზნულ თვითმფრინავად რჩება





თურში ტვირთის დაცლა და ცარიელს უკანა ლიუკიდან გამოსვლა შეუძლია. თვითმფრინავი პირველად 1968 წლის 30 ივნისს აფრინდა პარკში, ორი წლის შემდეგ კი ის საბაზო ვარიანტად C-5A სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. ამ ვარიანტში თვითმფრინავის სერიული წარმოება 1973 წლამდე გაგრძელდა და 81 თვითმფრინავის ამუშებთ დასრულდა. ექსპლუატაციის პროცესში თვითმფრინავს რამდენიმე ნაკლი გამოუვლინდა, მათ შორის ფრთის კონსტრუქციის გათვლილზე ნაკლები სიმტკიცე. სამოედინზაციო პროგრამის შედეგად, ფრთის გაძლიერების გარდა, 9000 კგ-ით გაიზარდა თვითმფრინავის სასარგებლო დატვირთვა და 6000 კგ-ით სარყვის მარკა. 1982 წლიდან მწეობრში არსებულმა ვეფლა მანქანამ მოდერნიზაციის ეს პროგრამა გააიარა, რის ღირებულებამაც 1,4 მლრდ დოლარი შეადგინა.

1982 წელს აშშ-ის სამხედრო-საპაერო ძალებმა მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავების პარკის გაზრდა გადაწყვიტეს და Lockheed-ის დამატებით, კიდევ ვარიანტი C-5B-ს 50 თვითმფრინავი შეუკვეთეს. მას ახალი ძრავები და ელექტრონიული აღჭურვილობა ჰქონდა. ამ მოდიფიკაციით თვითმფრინავის სიგრძე 75,5 მ-ს, ფრთის გაქეპი 67,8 მ-ს, სიმაღლე კი 19,8 მ-ს შეადგენს. ცარიელი თვითმფრინავი 172370 კგ-ს იწონის, მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 38100 კგ-ს აღწევს. ძალური დანადგარის სახით C-5B-ზე TF39-GE-1C-ის ტიპის ოთხი ტურბოტრაქტიული ძრავა დაყენებული, თითოეული — წვეთი 19100 კგ ძალა. თვითმფრინავის მაქსიმალური სიჩქარე 932 კმ/სი-ის ტოლია, პრაქ-

ექსპლუატაციის პროცესში ორი AN-22 რუსლან-ი ფრთხილად ტრანსპორტირებისთვის გადაკეთდა

ძლიერით თითო 15000 კგ ძალა. AN-22-ის მაქსიმალური სიჩქარე 650 კმ/სი-ს, ფრენის პრაქტიკული მანძილი კი 5250 კმ-ს შეადგენს. თვითმფრინავის მაქსიმალური ტვირთამწეობა 80000 კგ-ია. სასარგებლო დატვირთვის სახით 33,4x4,4x4,4მ-ის გაბარიტების მქონე სატვირთო ნაკვეთში 290 სრულად აღჭურვილი ვაგონიკა ან 150 პარაშუტიზმი თესილია. ტვირთის მაქსიმალური წონა, რომლის გადმოვლაც შეიძლება თვითმფრინავიდან, 22000 კგ-ს შეადგენს.

1965 წელს თვითმფრინავი ელბურეს ავიამოზე აწვეწეს, სადაც მან ფურორი მოახდინა. იმ მომენტისთვის ის მხოფლით ვეულაზე დიდი ტვირთამწეობის სატრანსპორტო თვითმფრინავი იყო. ერთი წლის შემდეგ ANTEI-ზე ერთი საცვლი ფრენისას ერთდროულად 12 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ამ თვითმფრინავმა 41 რეკორდი დაამყარა, აქედან 20 — მარინა პოპოვიჩის ეკიპაჟმა. 1969 წელს თვითმფრინავი ექსპლუატაციაში ჩაუშვეს. მათ არა მხოლოდ სამხედრო ტვირთები გადაჰქონდათ, მიჰქონდათ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ჰუმანიტარული დახმარება პერუში, ინდოეთში. AN-22-ებს ინტენსიურად იყენებდნენ აღმანეთში შესულ დიდი საბრძოლო კონტინგენტის შესაყვანად. 1990 წელს 15-მა თვითმფრინავმა 96 გაფრენით მთიან ვარაზალში 82 ჯ ტვირთი და 915 სამხედრო ჩაიყვანა.

1965-75 წლებში აიკო 68 თვითმფრინავი, აქედან ორს არ უფრენია, 19 დაკონსერვებულია, 33 კი რესურსის ამოწურვის გამო დაჭრეს. კიდევ 7 თვითმფრინავი კატასტროფებში დაიკარგა. მიმდინარე წელს მწეობრში 7 AN-22 დგას. აქედან 6 რუსეთის სამხედრო-საპაერო ძალებს ეკუთვნის, ერთი კი ანტონოვის საკონსტრუქტორო ბიუროს.

1964 წელს აშშ-ის სამხედრო-სა-

პაერო ძალებმა ახალი მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის შექმნაზე გამოაცხადეს კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის საშუალება ჰქონდა Boeing-მა, Douglas-მა, General Dynamics-მა და Lockheed-მა გამოიტყვეს. კონკურსის მოავერა მთიხონით, საბჭოთა AN-22-ის შესაძლებლობების დასარდლიადა, მომავალი თვითმფრინავის ტვირთამწეობა 100ტ-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. კონკურსის გამომცხადებთან ერთი წლის შემდეგ Lockheed-ი და მისი თვითმფრინავის პროექტი კონკურსის ფინალისტად დასახელდნენ. იმ პერიოდისთვის C-5-ს, რომელსაც ციცა ხანში Galaxy (გალაქიკა) შეარქვეს, საკმაოდ გიგანტური ზომები ჰქონდა. თვითმფრინავის დატვირთვასა და დაცლის პროცესების გასამარტეფებლად და ხანგრძლივობის შესამცირებლად, კულა ლიუკის გარდა, ინჟინრებმა ფიუშელაჟის ცხვირა ნაწილი ისე დააპროექტეს, რომ მას ზვეით აწევა შეუძლია. ანუ ცხვირიდან შესულ სატვირთო მანქანას სატვირთო ნაკვე-



Galaxy მსოფლიოში პირველი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი იყო, რომელსაც ცხვირა და კულა სატვირთო ლიუკები ჰქონდა



რუსლან-ის გამოჩენამდე 13 წლის განმავლობაში Galaxy მსოფლიოში ყველაზე დიდი ტვირთმანქანის თვითმფრინავი იყო

ტიკული ფრენის მანძილი 5526 კმ-ია. რაც შეეხება ტვირთმანქანას, C-5B-ს მაქსიმალური 122470 კგ-ის წონება შეუძლია. ტექნიკის სახით ეს ორი ტანკ Abrams-ის ან ხუთი ჯეიმსტრანსპორტიორ M113-ის ტოლია. თვითმფრინავს ბორტზე 270 ჯარისკაცის აყვანა შეუძლია.

თვითმფრინავის შეიარაღებაში მიღების შემდეგ ის ყველა იმ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობდა, რომლებშიც აშშ-ის სამხედროები იყვნენ ჩართული. 1990 წელს Galaxy ოპერაცია „უდაბნოს ფრში“ მონაწილეობდა, რომლის დროსაც ყველაზე დიდი „საპაერო ხიდი“ იყო ორგანიზებული. 265 სატრანსპორტო თვითმფრინავის ტვირთბრუნვაში 22 დღეში 4,65 მლნ ტონა-კილომეტრს გადააგარბა.

ამ თვითმფრინავის ბიოგრაფიაში არა მხოლოდ სამხედრო დამსახურებებია. 1988 წლის დეკემბერში ოთხმა Galaxy-მ სპიტაკის მიწისძვრისგან დაზარალებულ მოსახლეობას 398,25 ტ პუ-მანიტარული ტვირთი ჩაუტანა. ამ თვითმფრინავის დაზნავ შეიქმნა ასევე სამოქალაქო ვარიანტი L-500, მაგრამ ამ პროექტმა არ გაამართლა. სულ გამოუშვეს 81 C-5A და 50 C-5B. აქედან დღეს ექსპლუატაციაშია 33 თვითმფრინავი, 45 კი რეზერვაშია და დაკონსერვებული. 1998 წელს დაიწყო მწყობრში არსებული თვითმფრინავების — ვარიანტი C-5M Super Galaxy — მოდერნიზაციის პროგრამა, რაც გაზრდილი წვეის მქონე ძრავების დაყენებასა და ელექტრონიკის სრულყოფას ისახავდა მიზნად. პირველი მოდერნიზებული თვითმფრინავი 2002 წლის 21 დეკემბერს აფრინდა. 2016 წლისთვის ახალ ვარიანტად მწყობრში არსებული ყველა თვითმფრინავის მოდერნიზაცია იგეგმება.

აშშ-სა და საბჭოთა კავშირის შორის შევიდბრება შეიარაღებაში არა მხ-

ლოდ სტრატეგიულ შეიარაღებას მოიცავდა. Galaxy-ს გამოჩენამ რამდენჯერმე გაზარდა ამერიკული ჯარების მობილურობა და საბჭოთა კავშირის ამისთვის აღკვეთური პასუხი უნდა გაეცა. 1972 წელს ანტონოვის საკონსტრუქტორო ბიუროს ახალი მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის შექმნა დაეკავა, 120 ტონის ტვირთმანქანით. მომავალი AH-124-ის პროექტირება 1973 წელს დაიწყო. დატვირთვის პროცესის გასამარტყვებლად, კუდა ლოკუსთან ერთად, Galaxy-ს ფიუზელაჟის ცხვირა ნაწილს შეეძლო ზევით აწევა. ამერიკულიდან განსხვავებით ანტონოვის თვითმფრინავს უფრო დიდი გაბარტყები ჰქონდა. შუთსწილების ოპტიმალური ვარიანტის დასადგენად გაანალიზდა 450 ვარიანტი და აეროდინამიკურ მიღში გამოიცადა 185 მოდელი. ცხვირა ლოკუსის გაღებისას, სატვირთო მანქანის უკეთ შესასვლელად შასის წინა დგარები იკეცება და ფიუზელაჟი დაბლა იწვეს.

თვითმფრინავის შექმნისას ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ძრავები წარმოად-

გენდა. ამიტომაც გადაწყდა, რომ ბრეტანეოში Rolls-Royce-ის ფორმის რვა ძრავა შეეძინათ და საბჭოთა კავშირში მათი ასლები გადაეღოთ მაგრამ ინგლისელები მიუხედავად რუსებს ეშმაკობას და განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირს ძრავების მხოლოდ ომ რაოდენობას მაკვიდნენ, რაც მინიმუმ 100 თვითმფრინავისთვის იქნებოდა საკმარისი. ამის გამო არჩევანი იმ პერიოდისთვის არსებულ ერთადერთ მღიერ ძრავზე — D-18T-ზე შეჩერდა.

1982 წლის 24 დეკემბერს თვითმფრინავი, რომელსაც რუსლან-ი შეარქვეს, პირველად აფრინდა პაერში. მისი სიგრძე 69,1 მ-ს, ფრთის გაქანი 73,3 მ-ს, სიმაღლე კი 20,7 მ-ს შეადგენს. ცარიელი თვითმფრინავი 173000 კგ-ს იწონის, მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 405000 კგ-ს უტოლდება. ძალური დანადგარის სახით AH-124-ზე D-18T-ის ტიპის ოთხი ტურბოპროპულსი ძრავა დაეყენებულა, წვეით თითო 23430 კგძალა. მაქსიმალური კომერციული დატვირთვისას თვითმფრინავი საათში 12600 კგ წაწევს ხარჯავს. თვითმფრინავის ფრენის მაქსიმ-

დღეისთვის სამოქალაქო ავიაციამანიების კუთვნილ რუსლან-ის ტვირთი მთელ მსოფლიოში გადააქვთ



**გადატანილი ტვირთების
ნაირსახეობით AN-124-ს
გვერდით ვერავინ
დაუდგება**



მალური სიჩქარე 865 კმ/სთ-ია და მას მაქსიმალურ 11600 მ-ზე შეუძლია ფრენა. ეკიპაჟი 6 კაცისაგან შედგება. სანაწარმო ტექნიკური პერსონალი კიდევ 7-9 კაცს თვლის. სასარგებლო დატვირთვის სახით რუსლან-ს 41,5x6,4x4,4მ-ის სატვირთო ნაკვეთურში 120000 კგ-ის წარება შეუძლია. თვითმფრინავი ორგემპანაანია. ზედა გემპანაზე, ეკიპაჟის კაბინისა და შემცველი ეკიპაჟის დასახელებული თათხის გარდა, 21 კაცზე გათვლილი ოთახიც არის.

1985 წლის მაისში თვითმფრინავი ლუბერეკის ავიახალონზე წარადგინეს და სპეციალისტებმა მას ზომებგაზრდილი Galaxy-ის ანალოგი უწოდეს. იმავე წლის 26 ივლისს ერთი საცდელი ფრენისას რუსლან-მა ერთდროულად 21 მსოფლიო სერკორდი დაამყარა. თვითმფრინავის რეკორდი წარმოება ერთდროულად კიევისა და ულანოუსკის საავიაციო ქარხნებში დაიწყო. სულ ათავ 58 თვითმფრინავი, აქედან 19 კიევში, სხვები კი ულანოუსკში. თვითმფრინავი შეიარაღებამ 1991 წლის 28 მარტს მიიღეს, მაგრამ დესანტრებისთვის ის არასერიოზ გამოუყენებიათ. მართალია, ტვირთის მასა, რომლის დესანტრებაც

მას შეუძლია, 25ტ-ს შეადგენს, მაგრამ შედესანტრების მანქანების დესანტრებისას ფიუნელაციის დიდი ზომების გამო წარმოქმნილი ტურბულენტური ნაკადი პარამეტრების სტროპების ხლართავდა. ამიტომ ერთ მანქანას გვერდებზე თითო დამატებითი ლიუკი გაუკეთეს, მაგრამ ამ კარიანტმაკ არ გაამართლა. შეიარაღებაში მიღებამდე ორი წლით ადრე ნებადართული იყო AN-124-ის გამოყენება სამოქალაქო გადაზიდვებისთვის. 1990 წელს ორი თვითმფრინავით ფარნბოროდან ბრატსკში 34 „ლენდ-რუერ-ერა“ და მათი სათადარიგო ნაწილები გადაიტანეს, 1985 წელს თვითმფრინავმა ორ ჯერზე 152 ტ-იანი თვითმძღველი გადაიტანა, მომავალ წელს კი ხარკოვიდან ტაშკენტში ტაშ-კუმიარის პიდროლეკტროსადგურისთვის პიდროტურბინის 80 ტ-იანი მუშა თვლი. სპიტაკის მიწისქვეშის შემდეგ სტიქიის რაიონში AN-124-მა 120 ტ-იანი „ლიბხერის“ ტაბის აშუქ ნაიტანა, 1993 წელს კი მაკლ ჯექსონმა მოსკოვში გასაპართი კონკრეტზე სამი თვითმფრინავით 310 ტ ტვირთი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ანტიონის საკონსტრუქტორ ბოლომ

კაციტრების თვითმფრინავი ასაცილებლად საკუთარი ავიაკომპანია — „ანტიონის ავიახაზები“ ჩამოაყალიბა და ხელთ არსებული AN-124-ებით მსოფლიოში ტვირთის გადაზიდვა დაიწყო. თვითმფრინავის კომერციული კარიანტის ნიშნული AN-124-100-ია, მისი ტვირთამწოდობა კი 150000 კგ-მდე გაზრდილი. დღეს 24 თვითმფრინავი რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის განკარგულებაშია (ამთავან II და კონსერვებულია). 10 ავიაკომპანია Volga-Днепр-ს ჰყავს (5 შეკვეთილია), 4 — ავიაკომპანია Полёт-ს (5 შეკვეთილია), 2 — ლიბის ავიაკომპანია Liban Air Cargo-ს, 1 — საამიროების ავიაკომპანია Maximus Air Cargo-ს, 7 — „ანტიონის ავიახაზებს“.

2009 წლის მონაცემებით, კატასტროფებში ოთხი თვითმფრინავი დააკარა. აქედან ყველაზე მამტაბური 1997 წლის 6 დეკემბერს ორუკუსში მოხდა. ორი Су-27-ით დატვირთული თვითმფრინავი ვიეტნამში მფრინავდა, როდესაც აფრენიდან 3 წმ-ის შემდეგ №3 ძრავა გაითქმა. 6 წმ-ის შემდეგ მას №2, 2 წმ-ში კი №1 ძრავები მიჰყვნენ. ეკიპაჟმა ვერ შეძლო ერთი ძრავით თვითმფრინავის გასწორება და სავსე იურებულ სახლებს დაეცა. ბორტზე მყოფი 23 კაციდან არავინ გადაურჩინდა, ხმელეთზე კი 45 კაცი დაიღუპა, მათ შორის 14 ბავშვი. საწვავისგან გაიხილმა ძლიერმა ხანძარმა შვიი წუთები გაანადგურა და მომხდარის ზუსტი მიზეზი დღემდე უცნობია, თუმცა კომისიის დასკვნით მიზეზი ძრავების დაბალი არბანამიკური მდგარობაა.

თვითმფრინავის ბოლო მოდიფიკაცია კომერციული AN-124-100M წარმოადგენს, რომელიც წინამორბედებსგან 6-დან 4 კაცამდე შემცირებული ეკიპაჟითა და გაუმჯობესებული ელექტროაღჭურვილობით განსხვავდება.

1976 წელს საბჭოთა კავშირში მრავალჯერადი გამოყენების კომსოურ სისტემა Энергия-Буран-ზე დაიწყო მუშაობა. გვემის თანახმად, მრავალჯერადი გამოყენების ორბიტული ხომალდისა და მისი რაკეტა-მატარებლების ძირითადი ავრეგატები ბაიკონურის კოსმოდრომზე უნდა გადატანილიყო და იქვე აეშობილიყო. საჭირო იყო ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მსხველგაბარიტული კანძების გადატანას უზრუნველყოფდა. საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტი, მსხვილი როგორც სახლავი, გამოუსადე

**წყვილი Мрия-Буран დღემდე
ყველაზე უნიკალურ
საავიაციო კომპლექსად რჩება**





„მრია“ თბილისის
სამგზავრო აეროპორტის
ასაფრენ ბილიკზე
2008 წ.

1988 წელს ჰაერში პირველად
აფრენილი ანტონოვის „ოცნება“,
თავისი შესამდებლობებითა და
გაბარიტებით ხალხს დღესაც აოცებს

გარი იყო. ამიტომაც საჭირო იყო ახალი მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავი. თავდაპირველად ასეთად მიახსენიეს **BM-T** განიხილებოდა, რომელიც სტრატეგული ბომბდამშენ **3M**-ის მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენდა. მათალია, ბაიკონურზე სწორედ ამ თვითმფრინავით გადაიტანეს რაკეტა-მატარებლის საწვავის აუზების ბლოკები, მაგრამ თვითმფრინავს არ შეუძლო არსებული ტვირთების სრული ნომენკლატურის ტრანსპორტირება. ამიტომაც ახალი სატრანსპორტო თვითმფრინავის შექმნა ანტონოვის საკონსტრუქტორ ბიუროს დაეკავა. დროის დაზოგვის მიზნით ახალი თვითმფრინავის შექმნა **რუსლან**-ის ბაზაზე გადწყდა. ფოუნელაჟი მუდმივ განივი კეევის ადგილას დამატებითი სექციის ჩასმით დააგრძელეს, ცენტროპლანის თავზე კი მსხვილგაბარიტული ტვირთების დასამატებლად სამაგრი წრტილები დააყენეს. ფოუნელაჟზე მოქმედი მკვეთრად გაზრდილი დატვირთვების გამო უარი ითქვა კუდა ლიუხეზე. მიწაზე დატვირთვით შესამცირებლად კი თვითმფრინავს 32 თვალი აქვს — 2 წინა და 28 ძირითადი საფრენებზე.

ახალი **АН-225**, რომელსაც **Мрия** უწოდეს, რაც უკრაინულად „ოცნებას“ ნიშნავს, პირველად 1988 წლის 21 დეკემბერს აფრინდა ჰაერში და დღემდე მსოფლიოში ყველაზე დიდ თვითმფრინავად რჩება. მისი სიგრძე 84 მ-ს, ფრთის გაქანს 88,4 მ-ს, სიმაღლე კი 18,1 მ-ს შეადგენს. ცარიელი თვითმფრინავი 250000 კგ-ს იწონის, მაქსიმალური ასა-

ფრენი კი 600000 კგ-ს. ძალური დანადგარიც **АН-124**-ის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ **Мрия**-ს ექვსი ძრავა აქვს. მისი კრეისერული სიჩქარე 800-850 კმ/სთ-ია და 11600მ სიმაღლეზე შეუძლია ფრენა. რაც შეეხება სასარგებლო დატვირთვას, ამ შეტალის „ოცნებას“ 250000 კგ-ის წაღება შეუძლია.

1989 წლის 22 მარტს თვითმფრინავმა ახალი მსოფლიო რეკორდების დამყარება დაიწყო. იმ პერიოდისთვის ყველაზე დიდი ასაფრენი მასა ამერიკულ **Boeing 747-400**-ს კჰინდა, მაგრამ **АН-225**-მა მისი მაჩვენებელი 104 ტ-ით გადააფარა და მხოლოდ ერთი გაფრინვას ერთდროულად 110 მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

1989 წლის 3 მაისს **Мрия** ზურგზე დამატებული მრავალჯერადი გამოყენების ორბიტული ხომალდით პირველად აფრინდა ჰაერში. მალე კომპლექსმა 2700 კმ-იან მარშრუტზე ბაიკონური-კიევი უდაჯდომო ფრენა შეასრულა, რომლის დროსაც კომპლექსის ასაფრენმა მასამ 560 ტ შეადგინა. მსოფლიო სენსაციად იქცა კომპლექსის წარდგენა ლუბრუჟში, 38-ე საერთაშორისო ავიასალონზე. მას შემდეგ ნებისმიერ ავიასალონზე **АН-225** ყურადღების ცენტრში ექცეოდა. **Буран**-თან ერთად საცდელი ფრენების გარდა თვითმფრინავი კომერციული რეისებსაც ასრულებდა. 1990 წლის მაისში მან ჩელიაბინსკიდან აკუტაბში 110 ტ-იანი ტრაქტორი **T-800** ჩაიტანა.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე ანტონოვის გვიანტმა 113 საცდელი ფრენა

შეასრულა, საერთო ხანგრძლივობით 235 სთ, აქედან 14 ფრენა ზურგზე დამატებული მრავალჯერადი გამოყენების ორბიტული ხომალდით. საბჭოთა კავშირის დაშლამ კოსმოსურ პროგრამას დიდი დარტყმა მიაყენა. ფინანსირების მკვეთრად შემცირების გამო 1994 წელს პროგრამა **Энергия-Буран** დაიხურა, უზიკალური თვითმფრინავი კი „უშუშყვრად“ დარჩა. 1994 წლის აპრილამდე, კომერციული გადაზიდვების ჩათვლით, თვითმფრინავმა 339 გაფრენა შეასრულა. შვიდი წლის განმავლობაში თვითმფრინავი მიწაზე უქმდ იდგა, — მძიმე ეკონომიკური პირობების გამო რუსეთში „ოცნებისათვის“ აღარავის ეცადა. ბოლოს თვითმფრინავი ანტონოვის საკონსტრუქტორ ბიუროს დაბრუნდა და დაიწყო მუშაობა მისი სერტიფიცირებისთვის. თვითმფრინავის გამოყენება ავიაკომპანია „ანტონოვის ავიანავებში“ კომერციული გადაზიდვებისთვის იგეგმებოდა. 2001 წლის 7 მაისს თვითმფრინავი შეიდგლიანა შესვენების შემდეგ პირველად აფრინდა ჰაერში. დაიწყო მისი სასერტიფიკაციო გამოცდა.

დღეს თვითმფრინავი მთელ მსოფლიოში დაფრინავს და სხვადასხვა სახის ტვირთი გადააქვს. 2009 წლის აკვისტოში **Мрия** ავიაციის ისტორიაში ყველაზე დიდი მონოტიტორის გადატანისთვის კიდევ ერთხელ შეეცადა განიხის რეკორდების წიგნში — მან ფრანკ-ფურტლიდან ერევანში 187,6 ტ-იანი გენერატორი ჩაიტანა.

თამარ კულუზაშვილი

კავკასიური მოვლენები



7.62 მმ-იანი
სნაიპერული
შაშხანი Bora-12

აზერბაიჯანი

● 23 ოქტომბერს აღმადის მიმართულებაზე სომეხი სნაიპერის ტყვიით აზერბაიჯანის არმიის სამხედრო მოსამსახურე 23 წლის ვლადარ ისმაილოვი დაიღუპა. ტყვია ვარისკაცს გულში მოხვდა.

● მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, თურქული კომპანია MKEK-ი 2010 წელს აზერბაიჯანს 7,62 მმ-იანი სნაიპერულ შაშხანებს MKE Bora-12-ს მაიწვიდს. შაშხანი 2008 წელს შეიქმნა და ძირითადად, სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებისათვის არის განკუთვნილი. გამოიყენება 1000 მ მანძილზე სრილისათვის. ამჟამად თურქული კომპანია აზერბაიჯანის ქარხანა „ტელეკომუნიკაციონი“ ერთობლივად ცეცხლსასროლი იარაღისათვის საბრძოლო მასალებს აწარმოებს.

● მომავალ წელს აზერბაიჯანის თავდაცვის ზარეუბი გაიზრდება და 1 მილიარდ 205 მილიონ 827 ათას მანათს, ანუ დაახლოებით 1 მილიარდ 500 მილიონ დოლარზე მეტს მიაღწევს. ახალ ბიუჯეტში პირველად NATO-ს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ არ დაეიანსდება.

● აზერბაიჯანული წარმოების ორმა პისტოლეტმა ტესტური გამოცდები წარმატებით გაიარა. პისტოლეტებს Inam-სა და Gurur-ს თავდაცვითი მრეწველობის

ქარხნები ამზადებენ. ორივე პისტოლეტის გამოყენება დაბალ ტემპერატურებზეც შეიძლება და „კარაიფეზ“ უკუეისი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები აქვს. პისტოლეტების წარმოება თურქულ კომპანია TISAS-თან ერთობლივად არის დაგეგმილი.

● 28 ოქტომბერს აზერბაიჯანის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ხომალდებმა Aila-მ და Avior-მა გადარჩინეს რუსული სატვირთო გემი Flli, რომელსაც 1785 ტონა ტვირთი გადაჰქონდა. ბორტზე 11-კაციანი ეკიპაჟი იმყოფებოდა.

● მას შემდეგ, რაც პარლამენტმა კანონი „სამშვიდობო ოპერაციებში აზ-

ერბაიჯანის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ“ მიიღო, საზღვარგარეთ გასაგზავნი ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა მხოლოდ მოხალისეებით და კომპლექტდება. პირადი შემადგენლობა სასაზღვრო და შინაგარეო სახელმწიფო საგანგებო სიტუაციების სამინისტროს თანამშრომლების შერჩევის შემდეგ და კომპლექტდება. თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია ყოველ წელიწადს სამშვიდობო კონტინგენტის საქმიანობის შესახებ პარლამენტს ანგარიში ჩააბაროს. კანონი აზერბაიჯანული სამხედროების მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის, ინფრასტრუქტურისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დაქვემდებარებაში არსებული ობიექტების დაცვაში მონაწილეობას ითვალისწინებს. სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე სამხედროებმა შეიძლება ვეტერანის სტატუსი მიიღონ. ასეთი ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში იმავე სტატუსს მიიღებს კოსოვოს, კრაინისა და აფგანეთის ოპერაციებში მონაწილე ყველა სამხედრო.

● აზერბაიჯანი აპირებს ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე კონტინგენტის რიცხვების გაზრდას. ამის შესახებ სიტყვიერი თანხმობა უკვე არის ხარჯება და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას NATO-ს ქვეყნები იკისრებენ.

სომხეთი

● 21 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ სომხეთის სპეცსამსახურმა აზერბაიჯანის სასაზღვროდ შიონაჟისათვის

ვაზაბეთში გამართულ სწავლებაზე სომხურმა ასეულმა სპეცკონსო შეფასება დაიმსახურა



მიმოხილვა...

ყარაბაღის არმიის
მუდმივ
მზადყოფნაშია...

სომხეთის მოქალაქე, თადარიგის პოდპოლკოვნიკი გვეორჯ აირაპეტიანი დააკავა ამის შესახებ ინფორმაცია სააგენტო NEWS.am-მა სომხეთის ეროვნული უშიშროების სამსახურზე დაყრდნობით გაავრცელა. აირაპეტიანი რამდენიმე წლის წინ არმიიდან დისციპლინის დარღვევისათვის დაითხოვეს. აგრეთვე ცნობილი გახდა, რომ დაკავებული უცხოეთის მოქალაქე, რომლის შემწეობითაც ის აზერბაიჯანის სპეცსამსახურებს უკავშირდებოდა.

● ყაზახეთში ჩატარებული ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების სწავლებიდან დაბრუნებულ სომეხ ჯარისკაცებს 18 ოქტომბერს ერევანში აერობორტ „ერბუნში“ შესაფერისი დახვედრა მოუწევს. საზეიმო ცერემონიაზე მთავარი შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა აიკას ბაკმანიანმა აღნიშნა, რომ მას სომეხი ჯარისკაცების უმაღლეს დინეზე წარმოჩენის უნარში გვეტი არ ეპარებოდა და ამიტომაც სომხური ასეული სწავლებლებზე საუკეთესოდ აღიარეს. ასეულის 106-ე სამხედრო მოსამსახურე წახალისია, - ვაღიან სამსახურში მყოფმა ჯარისკაცებმა 10-დღიანი, ხოლო ოფიცრებმა და პრაპორშჩიკებმა 5-დღიანი შეუბრუნებები მიიღეს. გარდა ამისა, მოსალოდნელია ბრძანება დაჯილდოებასა და სხვა წახალისებაზე.

● სომხეთი თავდაცვის ხარჯებს 2009 წლის დონეზე შეინარჩუნებს, რაც დაახლოებით 500 მილიონ დოლარს აღწევს.

ჩრდილო კავკასიის კვირის

● რუსეთი ჩრდილო კავკასიაში ჯარების რაოდენობის ოთხჯერ გაზრდას აპირებს. ასეთი ინფორმაცია 29 ოქტომბერს „ნეხავისიმაია ვახუტამ“ გაავრცელა. ჟურნალისტიკებისათვის ცნობილი გახდა, რომ ცოტა წნის წინ მოსკოვის ოლქიდან როსტოვის ოლქის ქალაქ მილეროვში 474-ე ცალკეული საავტომობილო ბატალიონის გადაყვანა დასრულდა, ხოლო ჩეჩნეთის დასახლებულ პუნქტ ბორზოში მე-8 ცალკეული სამთო ბრიგადის გაერთიანება ვლადიკავკაზში 58-ე არმიის ბაზაზე მოსალოდნელია ოპერატიული სარდლობის ჩამოყალიბება, სადაც 7 მოტომსროლელო და ერთი სატანკო ბრიგადა გაერთიანდება.



კოსმონავი კვირისათვის

● სეპარატისტული აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა 2010 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც შემოსულების და გასაულებს ნაწილში ერთნაირი და 3 მილიარდ 875 მილიონი რუბლია. თავდაცვის ხარჯებს სოხუმში აღარ ახსენებენ, მაგრამ ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილში მნიშვნელოვანი თანხა — 814 მილიონ 700 ათასი რუბლის მართლწესრიგზე, პროკურატურასა და სასამართლოზე გამოყოფილი.

558 მილიონ 300 ათასი რუბლის დანიშნულება გაურკვეველია. ამ თანხებიდან, ალბათ, თავდაცვაზე დაახლოებით 1 მილიარდი რუბლი, ანუ 30-34 მილიონი დოლარია დაგეგმილი.

● 21-23 ოქტომბერს ჩატარდა საბატალიონო ტაქტიკური სწავლებები, რომლის თემა იყო „მთიან-ტყიან გარემოში დამით თავდაცვითი ბრძოლების წარმოება“. სწავლებაში მონაწილეობდა მე-3 ცალკეული სამთო-მსროლეული ბატალიონი, რომელსაც საცეცხლე მხარდაჭერას უკეთებდნენ პაუბი-4-30-ების დივიზიონი, 85 მმ-იანი D-44-ების, BM-21 „გრაბებისა“ და 120 მმ-იანი ნამოსტკორცნების ბატარეები, 82 მმ-იანი ნამოსტკორცნების სამი ოცეული და საცეცხლე მხარდაჭერის ასეული. დასკვნითი ნაწილი არტილერიის სროლებით კოდორის ხეობის ქვედა ნაწილში პოლიგონ „ცხაბალზე“ დამით ჩატარდა. 1400 მეტრით დაშორებულ სამიზნეებს არტილერია ვჯარედინი ცეცხლით ესროდა.

ჩრდილო
კავკასიიდან
საქართველოს
რეაქტიული
ემოქრებიან



ყარაბაღი

● 20 ოქტომბერს ფონტის ხაზზე საფორტფეიკაციო ნაკვობათა გამაგრების სამუშაოები შეიმჩნეოდა. გაითხარა სხვადასხვა მიმართულებით სანგრები, გამაგრება და ხურული პოზიციები. ზოგიერთ ადგილზე ნეიტრალური ზონები დაინდმა. ფეხლის მიმართულებაზე სომხური ქვედაოფეიკები ვადაჯუფდა. იმ დროისათვის პოზიციებს სომხეთის პრეზიდენტი სერჯ სარქისიანი და თავდაცვის მინისტრი სეირან ოვანიანი ათვალიერებდნენ.

თემურ ჩაჩანიძე

თურქეთ-სომხეთის დაახლოების მთავარ პრობლემად ყარაბაღი რჩება



ოკმების
საფრანგეთისა და
უწყებების
ზედამსჯედველობით

სელმონერა
და რუსეთის
საგარ-
უწყებების
სელმდგანგებობის
მოხდა

10 ოქტომბერს ციურისში აშშ-ის სახელმწიფო მდივარ ჰილარი კლინტონის, რუსეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების სერგეი ლავროვისა და ბერნარ კუშნერის, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოებაში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის ხაიერ სილანას დასწრებით თურქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ამაჟდ დავუთიოღლუ და ედვარდ ნალბანდიანი ხელი მოაწერეს პროტოკოლებს დაღლომატური ურთიერთობათა დამყარებასა და ომხზიუ ურთიერთობების განვითარებაზე. დოკუ-

მენტები რატოიეკაციას პარლამენტებში გაივლის.

დოკუმენტები ითვალისწინებს დაღლომატური ურთიერთობების დამყარებას, საერთო საზღვრის განსნას, ქვეყნების საგარეო უწყებებს შორის რეგულარულ კონსულტაციებსა და ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას.

მისსაღმებელა, რომ ქვეყნებს შორის უნდობლობა დაიძლათა და ურთიერთობათა ნორმალიზაცია დაიწყო, თუქცა ეს პროცესი, ალბათ, მარტვი არ იქნება.

სომხეთში არ დაიფიწებენ 1915-18 წლების ტრაგედიას, როცა ოფოციალ-

ური ერენის მტკიცებით 1,5 მილიონი მშვიდობიანი სომხები მამინდელი თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკის მსხვერპლი გახდა.

ორი ქვეყნის ურთიერთობათა შემდგომი პროგრესი მნიშვნელოვანწილად კავკასიის კიდევ ერთ მოუგვარებულ — ყარაბაღის კონფლიქტთან არის დაკავშირებული.

ახლა ყარაბაღის საკითხზე ინტენსიური დიპლომატური მუშაობა მიმდინარეობს, რომელმაც კონფლიქტის საბოლოო წერტილი აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით უნდა დაუსვას.

თურქეთის პოზიცია ამ შემთხვევაში ასეთია: თუ ყარაბაღის პრობლემაში წინსვლა არ იქნება, მამინ პარლამენტი ციურისში ხელმოწერილ დოკუმენტებს არ დაამტკიცებს.

თავად ყარაბაღელები კი მოლაპარაკებებში მონაწილეობას მოითხოვენ. მათთვის რუსეთისგან ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება იმის მაგალითია, რომ სეპარატისტული მოძრაობა მზარდაქტვის შემთხვევაში მიზანს მაღლწევს.

კონფლიქტის დაწყების მიხზეუ მთინი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა რიგარეუმე სესიის 1988 წლის 20 თებერვლის გადაწვეტილება გახდა, რომლითაც ადგილობრვი ხელისუფლება აზერბაიჯანიდან გასვლასა და სომხეთის შემადგენლობაში შესვლას მოითხოვდა.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან სამხრეთ-აღმოსვლეთით მდებარე მთინ ყარაბაღში 1988 წლის 1-ული იანერის მდღომარეობით 183900 კაცი ცხოვრობდა, საიდანაც 74%, ანუ 136 ათასი სომხები და 23,7%, ანუ 32,5 ათასი აზერბაიჯანელი იყო.

ავტონომიური ოლქის საკანონმდებლო ორგანოს ანტიკორისტული გადაწვეტილება ვინიკურ ნიადაგზე სომხებსა და აზერბაიჯანელთა შორის შეტაკებების მიხზეად გადაიქცა.

აზერბაიჯანის ქალაქებში მცხოვრები სომხე მოქალაქეთა დარბევებს სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ათეულათასობით აზერბაიჯანელს წინააღმ-



ფეხბურთის მატჩით
თურქეთ-სომხეთის
დაახლოება
დაიწყო

დეგ განხორციელებული საპასუხო ქმედებები მოკეცა.

1989 წლის იანვრისათვის ვარაზალი აზერბაიჯანის ხელისუფლებას ფაქტობრივად აღარ ემორჩილებოდა და ადგილობრივი სომხები ომის საშაბდისს შეუდგნენ. ვარაზალებს დიდი დახმარება გაუწია 1988 წლის თებერვალში სომხეთში შექმნილმა „ვარაზაღის კომიტეტმა“, რომელსაც სომხეთის დღევანდელი ოპოზიციის ლიდერი ლეონ ტერ-პეტროსიანი მეთაურობდა.

მასობრივ აქციათა დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საბაბით შექმნილი კომიტეტი შეიარაღებულ რაზმებს აყალიბებდა, სადაც დაახლოებით 20 ათასი კაცი გაერთიანდა. კომიტეტის წევრთა განკარგულებაში იყო: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გლუკეულდანი სანადირო თოფები, თვისინაკითი ნაღმსატყორცები და ხელუშაბრები. ეკუმპარსატორცნები, ტყვიამფრეკვები, სეტყვიანინაღმდეგი ქვეჭებები, „ალაზანის“ ტაბის სარაკტო დანადგარები და სხვ.

ვარაზაღის ომისათვის მზადებაში მოსკო-ერევნის პოლიტკურმა და განსაკუთრებით სამხედრო დაახლოებამ დიდი როლი ითამაშა.

1991 წლის შემოდგომაზე სომხეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით საბჭოთა არმიის რიგებში სომხეთში მცხოვრებ მოქალაქეთა გაცივება განახლდა და სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებული მე-7 გერმადული არმიის ქვედანაყოფები სომხეთი წვედარდლებით შეიკო.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილის საბრძოლო მომზადებაში, გენერალ-ლეიტენანტ იოსიფ ოიანაღის ხელმძღვრობით სომხეთი ახალგაზრდები მომზადებას საქართველოში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 171-ე სასწავლო ცენტრის ქვედანაყოფებში თბილისში, გორში, ვარაზასა თუ დანისში გადიდნენ. სომხეთში არმიისათვის არტილერიის, ტანკის, მესანგრის, მენეიტის, მეკავშირისა თუ სხვა სპეციალობით მომზადებული ასეულობით უმცროსი მეთაური მიიღო.

სომხეთი და რუსი ჯარისკაცებით დაკომპლექტებული საბჭოთა არმიის ნაწილები რუსი ოფიცრების მეთაურობით კონფლიქტში სომხეთის მხარეს ბრძოლებში რეგულარულად მონაწილეობდნენ.

ფულით მოსიყვდილი სტეფანაკერტის 366-ე მოტომსროლელი პოლკის პირადი შექადგენლობა ჯგუშანტქიის დახმარებით სომხურ ფორმირებებთან



თურქეთთან დაახლოების სანიინაღმდეგო აქცია ერევანში

ერთად 1992 წლის 25-26 თებერვალს ხოჯალის აღებაში მონაწილეობდა.

ხოჯალში 613 ქალი, ბავშვი, მოხუცი თუ მამაკაცი ძალადობის მსხვერპლი შეიქმნა.

366-ე პოლკმა ვარაზაღიდან გამოსვლისას ადგილობრივი სომხების რაზმებს დიდი რაოდენობით შეიარაღება გადასცა, ხოლო სამხედრო მოსამსახურეთა ერთი ნაწილი ვარაზაღელ მოლაშქრეებს შეუერთდა.

იგივე ჩაიდინა რუსეთის შინაგანი ჯარების 81-ე ოპერატულმა პოლკმა, რომელიც ასევე სტეფანაკერტში იყო დისლოცირებული.

გეუმრის 128-ე მოტომსროლელი პოლკი სომხეთის არმიის მხარეს ბრძოლებში არაერთხელ მონაწილეობდა.

მე-7 არმიის სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ფიოდორ რეუტის მითითებით ერევანში „ერეუნიის“ აეროდრომზე დისლოცირებული 382-ე ცალკეულ შეუღლმფრეთა ესკადრილის შეუღლმფრეებმა გასამრჯელოს სანაცვლოდ აზერბაიჯანელთა პოზიციები მრავალჯერ დაბომბეს. ვარაზაღში იარაღი და საბრძოლო მასალები ეზიდებოდნენ და


შეიარაღებული რაზმები გადაკეცადით, უკანა გზაზე კი დაჭრობები და მშვიდობიანი მოსახლეობა მიკეცადით.

1993 წლიდან ვარაზაღის არმიის შტაბს რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზინევიჩი ხელმძღვანელობდა. ომის დასკვნით ნაწილში მის დაგეგმილ ოპერაციებს ვარაზაღის მიმდებარე აზერბაიჯანული ტერიტორიების დაკეცვა მიკეცა.

აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების მსგავსად, ვარაზაღში მოელენების ესკადრილისათვის რუსეთმა ბფრით რამ გააკეთა, მაგრამ ბაქო კონფლიქტის ზონაში ე.წ. რუსული სამშვიდობო ძალების შეყვანაზე მაინც ვერ დათანხმდა.

1994 წლის 12 მაისიდან ვარაზაღში აქტიურ საბრძოლო მოქმედებათა შეწყვეტის შემდეგ ერთმანეთის პირისპირ სომხეთი და აზერბაიჯანელი სამხედროები დანაღნ. ორეუ მხარეს, სამხედრო რიტორიკის თინხლებით, ინციდენტები თითქმის ყოველდღე ხდებდა. იღუპებთან სამხედროები და სამოქალაქო პირები, მაგრამ სტატუს კვოს დარღვევას ჯერ-ჯერობით მაინც ვერდიდნენ.

თეიმურ ჩარანიძე



თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნა ვარაზაღზეა დამოკიდებული

ტანკები ღოკალურ ომებში: კორეიდან სხინვალის ომამდე



კორეის ომი სამი
წელი გაგრძელდა

დაჯავშნული მუხლუხა საბრძოლო ტექნიკის შექმნის იდეა და ომში გამოყენების პირველობა ბრიტანეთს ეკუთვნის.

პირველ მსოფლიო ომში დიდი ადგილი პოზიციურმა ბრძოლებმა დაიკავა. ინჟინრობის წინააღმდეგობებით, ეკლიანი მეთოდებით, ტრანშეებით, აერობატური თუ ნახევრად აერობატური იარაღით აღჭურვილი საცეცხლე წერტილებით გაპარებული ერთიანი ფრონტის ხაზისა და დრამდ ემულიონრებულ თავდაცვითი ზოლების გარღვევა მნიშვნელოვან ძალებს მოითხოვდა. ამის გამო პოზიციური ბრძოლები ხშირად გაჭანურდებოდა ხოლმე.

სამხედრო ტექნიკის სიახლემ — მექანიკურმა სატრანსპორტო საშუალებებმა და დაჯავშნულმა ავტომობილებმა ჯარების მანევრულობა აამაღლა, მაგრამ ორდონორდო ადგილები და რბილი ნიადაგი თვლებიანი ტექნიკის გამოყენებას ზღუდავდა.

განჩნა ვეღღანმავალი მუხლუხიანი ტექნიკის საჭიროება, რომელიც ორმეებს, ტალახსა თუ ეკლიან მეთოდებს იძლეად დაძლედა. იმედროულად კარგი შუარადებით ქვეითებს საცეცხლე

მხარდაჭერას გაუწევდა და ჯავშნით თავის დაცვას შეძლებდა.

ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით აგებული საბრძოლო მანქანები პირველ სეკტემბერს საფრანგეთში, მდინარე სომის ჩრდილოეთით, გერმანიულა პოზიციებზე შეტყვისთვის გამოიყენეს.

იმ საბანკო შეტყვაში 49 MK1 ტიპის ტანკი მონაწილეობდა, მაგრამ შეტყვის ხაზამდე მისვლა მხოლოდ 32-მა შეძლო. დანარჩენები მწყობრიდან ტექნიკის არასაიმედობისა თუ კონსტრუქციული ხარვეზების გამო გამოიყენდა.

უმჯალოდ შეტყვას კიდევ 14 ტანკი გამოაკლდა — 5 ჭობში ჩაყვლი, ხოლო 9-ს კი მექანიზმებმა უმტყვნა.

დარჩენილმა 18 ტანკმა 5 კმ სიგრძის ფრონტის ხაზი 5 კმ სიღრმეში გაარღვია და ბრიტანელმა ჯარისკაცებმა სოფელი ფლორი-კორსელი დაიკავეს. ეს ბეჭრად დიდ წარმატება იყო, ვიდრე წინა 35-დღიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგები, სადაც ქვეითებმა 20-ჯერ მეტი კაცი დაკარგეს.

მსოფლიო ომებს შორის პერიოდში კონსტრუქციული ცვლილებებით ტანკების საცეცხლე ძალა, საიმედოობა და გამძლეობა ბეჭრად გაუმჯობესდა. პარალელურად გამოყენების ტაქტიკის სრულყოფა მიმდინარეობდა.

დღი ბრიტანეთის, საფრანგეთისა თუ ამერიკის არმიებში ტანკებს ქვეითებისა და კავალერიის თანხლებს. დამხმარე ძალად განიხილავდნენ, ამიტომ სატანკო ჯარების დიდ ყურადღებას არ

აქცევდნენ.

საბჭოთა გენერალიტეტი ტანკებს შედეგიანი შეტყვის ერთ-ერთ საშუალებად განიხილავდა და ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობდა.

გერმანულმა სამხედროებმა კი ტანკებში სწრაფი შეტყვით თავდაცვის სიღრმეში დიდ მანძილზე შეღწევის, მოწინააღმდეგის ძალების დანაწევრებისა და აღწავლა მოქცევის მოწინაი იარაღი დაინახეს. ამიტომაც მთორ მსოფლიო ომში გერმანიელთა მთავარი დამრტყმელი ძალა სატანკო დავჯუფებები იყვნენ, რომლებშიც რამდენიმე სატანკო და მორტარხეული დივიზია შედიოდა და ჯავშნატექნიკის ასეულობით ერთუულს ითვლიდა.

ტაქტიკურმა სიახლემ გერმანიის არმიას ომის პირველ წლებში მნიშვნელოვანი უპარატესობა მოუტანა და მთელ რეკ ოპერაციებში წარმატება ტანკების მასობრივმა და სწორად გამოყენებამ განაპირობა.

იმედროულად აღმოჩნდა, რომ იქ, სადაც ტანკი სისწრაფესა და მანევრულობას კარგავდა, დანაკარგიც მატულობდა. ასე მოხდა 1945 წლის აპრილ-მაისში, ბერლინის ოპერაციის დროს, როცა საბჭოთა არმიამ 23 დღეში 1997 ტანკი და თეთიძაული საარტილერიო დანადგარი, ანუ დღეში საშუალოდ 87 ერთუული დაკარგა.

მთორ მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის თითქმის ყველა ღოკალური ომი თუ ოპნელიტეტი სხვადასხვა რაოდენობის ჯავშნატექნიკისა და მათ შორის

პირველ მსოფლიო ომში
ბრიტანელებმა ტანკები
პოზიციების
გასაზღვრევად შექმნეს



ტანკების გამოყენებით აღინიშნა.

პირველად საბჭოთა და დასავლურ-მა ჯაშუანტექნიკამ და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებმა ერთმანეთს შესაძლებლობები კორეის ნახევარკუნძულზე მოხსნა.

კომუნისტური ჩრდილო კორეა თანამოქმედ სამხრეთელების წინააღმდეგ აგრესიისათვის საბჭოთა კავშირის დახმარებით ემზადებოდა. საბჭოთა ოფიცრების გაწვრილნილ-მოშადაებული კიმ ირ სუნის არმიის სატანკო ნაწილები მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი საუკეთესო T-34-85 ტიპის ტანკებით იყო აღჭურვილი.

ვევლახზე მოშადაებული 105-ე სატანკო ბრიგადა 107-ე, 109-ე და 203-ე სატანკო პოლკებს აერთიანებდა და თითოეული 40 T-34-85-ს ითვლიდა. სხვა ქვედანაყოფებში ტანკების შედარებით მცირე რაოდენობა იყო. სულ ჩრდილო კორეის არმიას 258 ტანკი ჰქვავდა.

ამ დროს სამხრეთ კორეის არმიის მთელი ჯაშუანტექნიკა 27 M-3 ტიპის ნახევრად მუხლუხა და M-8 ტიპის თელევიზიანი ჯაშუანტრანსპორტიორისაგან შედგებოდა.

ფერ ჯარისკაცს ტანკი ნანახიც კი არ ჰქვავდა და არც ჯაშუანტექნიკასთან ბრძოლის ჩუქვები ჰქონდა. სამხრეთკორეელი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები 1900 ერთეული 60 მმ-იანი Bazooka M-1-ით შემოიფარგლებოდა, რომლისთვისაც T-34-85-ის ჯაშუანი გადაულახავი ზღუდე გამოდგა.

1950 წლის 25 ივნისს, ძლიერი სარტილური ცეცხლის შემდეგ, დღის 5 საათში ჩრდილოკორეელთა ქვეითმა დივიზიებმა 150 ტანკით კორეის ნახევარკუნძულის გამოყოფი 38-ე პარალელი გადაკვეთეს და სამხრეთისაკენ წაიწიეს.

რიცხოობრივი და განსაკუთრებით ჯაშუანტექნიკის უპირატესობით კომუნისტური კორეის ჯარებმა სამხრეთელთა პოზიციები იოლად გაარღვიეს და შეტევა იმდენად წარმატებით განვითარეს, რომ 28-ში სამხრეთ კორეის დედაქალაქი სული დაიკავეს.

ურალის ფოლადისაგან დამზადებულ T-34-ებს ამერიკული 57 მმ-იანი უუკუგორბო ქვეშებ M-16-ისა და ბაზუკას ჭურვები ვერაფერს აკლებდა. ასეთ შემთხვევებში სამხრეთკორეელი ჯარისკაცები თავგანწირვაზე მიდიოდნენ. ფეფქებადი საშუალებებით ტანკებს უკარგდებოდნენ და მწუობრიდან გამოჰყვავდათ.

ომის პირველ დღეებში კომუნის-

ომის დასაწყისში ჩრდილოკორეელთა წარმატება მნიშვნელოვანილიად T-34-85-მა განაპირობა



ტური კორეის არმიამ სულ 11 ტანკი დაკარგა.

აგრესიის შესაჩერებლად 4 ივლისს პორტ პუსანში იაპონიიდან ამერიკული საოკუპაციო ჯარების 24-ე ქვეითი დივიზიის არტილერიით გაძლიერებული 400-კაციანი ქვედანაყოფი გამოვიდა და მეორე დღეს ამერიკული ჯარისკაცები ჩრდილოკორეელთა სატანკო შეტევის შეჩერებას შეეცადნენ.

ამერიკელების პოზიციებს 33 T-34-მა შეუტია და არტილერიისტებმა ცეცხლი 105 მმ-იანი M-2A1 პაუბიცებითა და

75 მმ-იანი M-20 უუკუგორბო ქვეშებებით გახსნეს. გასროლების უტეტესობა ჯაშუანმხეტრეტი ჭურვები იყო, რომელთაც ტანკების ჯაშუანი ისხლელდა. ექვნილედ კუმულაციური ჭურვით კი 500 მეტრში 2 ტანკის დაზიანება მოხერხდა.

ამერიკელებმა პოზიციები ვეღარ შეინარჩუნეს და დიდი დანაკარგით უკან დაიხიეს. მოკალუთა რაოდენობამ 150 კაცს მიაღწია.

იმდროინდელ ამერიკის არმიამ და მკვდრებულთა მდგომარეობით კორეის

მსუბუქი ტანკი M-24 Chaffee ომში არ გამოდგა





ამერიკელი ჯარისკაცები
კი იღივებიან, მაგრამ ეს
ბაზუკა საბჭოთა
ჯავშანტექნიკას
ჯერ ვერ სჯობნიდა



მივაკრიბებოდა რელიეფი და დაბლობებში კი დაჭობებული ბრინჯის მინდვრები ტანკებს ამოცანების შესრულებას გაუწივლდა.

რამდენიმე დღეში პუსანში ამერიკელთა 78-ე მძიმე სატანკო ბატალიონის A ასეული გადმოვიდა, რომელიც 14 მსუბუქი M-24 Chaffee-ს ტაიპის ტანკით იყო დაკომპლექტებული.

10 თლის ბრილიაში T-34-ები და M-24-ები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამერიკელი ტანკების 75 მმ-იანი ჭურვები საბჭოთა ჯავშანს ვერ მოერია, ხოლო მოწინააღმდეგის სატანკო ცეცხლით 78-ე ბატალიონის ორი ტანკი გამოაკლდა.

მეორე დღეს ამერიკელებმა კიდევ 3 ტანკი დააკარგეს და ევლისის ბოლოსთვის ასეულს მხოლოდ 2 გამართული ტანკი შემორჩა.

ცხადი გახდა, რომ T-34-ებთან ბრძოლა უფრო ძვირად საშუალებებს მოითხოვდა, ამიტომ ამერიკელებმა ტანკების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად აქცენტით თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილი სატანკო ქვედანაყოფების შემოუყვანზე გადაიტანეს.

ავგუსტოში ამერიკელთა განკარგულებაში მყოფი 5 სატანკო ბატალიონიდან თითოეული საშუალოდ 69 ტანკს ითვლიდა. ერთი — მე-6 ბატალიონის მთლიანად უახლესი M-46 Patton-ებით, ხოლო სხვები კი თანაბრად M-24-ებითა და M4A3 Sherman-ებით იყო და-

კომპლექტებული. ტანკსწინააღმდეგო არტოლერია 88,9 მმ-იანი M-20 Super Bazooka-თი შეივსო.

ახალმა ტექნიკამ სატანკო დუელებში გარდატეხა შეიტანა და ჩრდილოკორეულთა სატანკო დანაკარგმა ქალაქ ტეჯუნისათვის ბრძოლებიდან ზრდა დაიწყო.

სამხრეთ კორეის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქალაქის ალების ოპერაცია 3-დან 25 თლისამდე გაგრძელდა და ბრძოლებში კომუნისტებმა 15 T-34 დაკარგეს, საიდანაც 7 ტანკი „სუპერ-ბაზუკებზე“ მოიღის.

კომ ირ სენის არმიის დიდი წარმატების ფონზე, როცა კომუნისტების ხელში ნახევარკუნძულის 90% გადავიდა,

სატანკო დანაკარგი ჯერ ისე უმნიშვნელო იყო და 20-25 ერთეულს არ აღემატებოდა.

ბევრად მეტი ტანკი მწიფობიდან აუარებისა თუ სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო გამოვიდა, ხოლო რემონტის დროულ ჩატარებას, საწვავითა და სათადარიგო ნაწილებით მომარაგებას კი ხელს ჰკერძო გაბატონებულ ამერიკის ავიაცია უშლიდა.

კომუნისტური კორეის არმიამ აქტიური მოქმედებებით ამერიკული და სამხრეთკორეულია ქვედანაყოფები ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ე.წ. პუსანის პლატოარშზე შეაკავა. პლატოარშის ფრონტის საზო სიგრძეში 120 კილომეტრს, სიღრმეში კი 100-120 კილომეტრს არ აღემატებოდა.

ჩრდილო კორეამ იერიმისათვის 98-ათასიანი დაჯგუფება და 100 ტანკი მოამზადა. პუსანთან თვდაცვისათვის ხელსაყრელ პოზიციებზე თავმოყრილი ამერიკა-სამხრეთ კორეის ძალები დაახლოებით 180 ათას კაცსა და 600 ტანკს ითვლიდა.

არახელსაყრელი თანაფარდობის მიუხედავად, 4 აგვისტოს ჩრდილოკორეულთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და პორტ მასანს მიაღწიეს, აიღეს ქალაქი ფხოპანი და ქალაქ ტეჯუს მისაღლიშეთთან გავიდნენ.

სამხრეთ კორეის სიდიდით მეოთხე ქალაქი ტეჯუ ხეობაში მდებარეობს და არცთუ მაღალი მიწებით არის შემორტეპული.

13 აგვისტოს ქალაქზე დაწყებულ შეტევაში ჩრდილოელთა 105-ე სატანკო ბრიგადამ ბრძოლისუნარიანი ტანკების ნახევარი — 20 T-34 დაკარგა.

ორი დღის შემდეგ 17-ში კი პირველად ბრძოლაში T-34-ები და Pershing-ები ერთმანეთს შეხდნენ. ჩრდილოკო-



M-20 Super Bazooka საბჭოთა
ჯავშანს ადვილად
გაუმტკავდა



რეგლმა ტანკისტებმა ახალი ამერიკული ტანკები ნაცნობ **Chaffee**-ს მაიმს-გუესს და შეცდომა ძვირად დაუჯდათ, — ბრიგადას 3 **T-34** გამოაკლდა. ამერიკული 90 მმ-იანი სატანკო ქვემუხისათვის ურალური ჯავშნის გახვევტა მწელი აღარ იყო.

ავგისტოში პუსანის პლაცდაროზე ამერიკელებს 1326 ტანკი ჰყოფიათ, აქედან 138 **M-24**, 679 **M4A3 Sherman**-ი, 309 **M-26 Pershing**-ი და 200 **M-46 Patton**-ი იყო. მოწინააღმდეგის სუსტი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების პირობებში სატანკო ქვედანაყოფები ამერიკელებს შეტევისათვის დიდ უპირატესობას აძლევდა.

ომის მსვლელობაში გარდატეხა ინჩონის სადესანტო ოპერაციამ (15-25 სექტემბერი) შეიტანა. სეულის ძაბლობად პორტ ინჩონში 15 სექტემბერს ამერიკელებმა მოკავშირეებთან ერთად 45-ათასიანი დესანტის პირველი ემელიონი გადმოსხეს.

მედსანტოთა განკარგულებაში რამდენიმე ათეული ტანკი-ამფიბია **LVT(A)** იყო. მედსანტოებმა ქალაქის 3-ათასიანი გარნიზონის წინააღმდეგობა ადვილად დასცილეს.

ინჩონის დაკავებით სეულისაკენ მივიდა და პირდაპირი გზა გაიხსნა. ქალაქს ქვეით ნაწილებთან ერთად სამ ათეულამდე **T-34** იცავდა და 16-20 სექტემბერის ბრძოლებში თითქმის ყველა ტანკი ბაზუკებით განადგურდა.

ამის შემდეგ ფორსტუე ვითარება ძირუღად შეიცვალა და კომუნისტების ჯარებმა უკან დახევა დაიწყეს. სექტომბერში ამერიკელებმა ჩრდილო კორეა-ჩინეთის საზღვარს მაღალესი, სიკან კომუნისტ თანამებრძოლა დასახმარებლად ბრძოლებში ასეულათასობით ეწინილი მოხალისე ჩაება.

აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და მოკავშირე ქვეყნების ჯარებმა ისევ უკან დაიხიეს, მაგრამ 1951 წლის აპრილისათვის 38-ე პარალელის გასწვრივ ფორტის ხაზის სტაბილიზაცია მაინც მოხერხდა.

ომის მომდევნო ეტაპები გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა, სანამ 1953 წელს 27 ივლისს პანმინჯუნში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას ხელი მოეწერა.

აშშ-ის ოთხდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ომის მსვლელობისას 119 სატანკო ბრიგადა აღინიშნა და 24 შემთხვევაში თითოეული მხრიდან 3 ტანკზე მჭეი მოინაწილებოდა.

ამერიკული ტანკისტები ანგარიშზე



ბრიტანული Centurion Mk.3 ომის ყველაზე მიიმე ტანკი იყო

97 **T-34-85**-ს მითივლიან. ოჯიანი დანაკარგს ამერიკელები 24 ტანკით აფასებენ.

ტანკების შეფასებისას საცეციალისტები აღინიშნავენ **M-24**-ების სუსტ საბრძოლო თვისებებს, **M-26**-ების სავალი ნაწილის არასამელოობასა და დაბალ კუთრ სიმძლავრეს, რომლის გამო მოთბობა გადაადგილება ჰირად. **M-46**, როგორც ახალი ტანკი, კონსტრუქციულ ხარვეებს მოკლებული არ იყო. ამერიკული ტანკისტები კი მჭირე მსოფლიო ომში გამოცდილ „შერმანებს“ ეწილობოდნენ და უფრო სამელოდ თვლიდნენ.

საშლიან ომში ამერიკელთა დანაკარგმა 800 ტანკი-თვითმავალი საარტლერიო დანადგარი და ჩრდილოკორეულთა მხრიდან კი 360-ზე მეტი ჯავშანტექნიკის ერთეული შეადგინა.

ამერიკული ტანკისტების მოვალეობაში შედიოდა: ქვეითების საცეცხლ მხარდაჭერა, ქვეითებთან ერთად შეტევის გაწვივარება, დახვერა, პარტიზანებთან ბრძოლა, სატრანსპორტო კოლონიების გაცელება და სხე.

ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორებისაგან მქონავე შემტევი რაზმები იქმნებოდა, რომლებიც მოწინააღმდეგის პოზიციების სუსტ ადგილებს ეძებდა და წარმატების შემთხვევაში მთავარი ძალების მოსვლამდე პოზიციებს ინარჩუნებდა.

წელის დაბრკოლებების დასაძლევად ამერიკელები საინჟინრო ქვედანაყოფების 45 ტრანსტიორამწილების ბორნებით

ან მოტეუტეუ ხიდებით სარგებლობდნენ.

სანტრესოთა დასახლებულ პუნქტებში ამერიკული სატანკო ქვედანაყოფების მოქმედების ტაქტიკა, სადც ტანკების დანიშნულება დასახლებული პუნქტების აღყაში მოქცევა, ქვეითების საცეცხლ მხარდაჭერა და მოწინააღმდეგის ოთხდაცვიო ზღუდეების გარდევა იყო.

დასახლებულ პუნქტებში მოწინააღმდეგის ტანკების გამოჩენის დროს გვერდის აქცევის ცდილობდნენ. ასე იყო ფინიანის ოპერაციის დროს 1950 წლის ოქტომბერში, როცა ქალაქის სამხრეთ ნაწილში ამერიკელები 15 **T-34**-ს წაწევედნენ, ამიტომ შემოღლი ამჯობინეს და შეტევა ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილიდან განავითარეს, სადც მოწინააღმდეგეს ტანკები არ ჰყავდა.

თუ დასახლებულ პუნქტს ასაქცევი გზა არ ჰქონდა, მაშინ ტანკები ქვეითებს წინ მიუძღოდნენ, დიდი სინქართი მოძრაობდნენ და იმჯვროვლად, ეთომანეთს მხარდაჭერას უკეთებდნენ. წინააღმდეგობის ყრების არსებობის შემთხვევაში ქვეითები წინ გადიოდნენ და ოჯიანიო ცეცხლი ტანკებს გზას უხსნიდნენ.

ჩრდილოკორეული ტანკისტები მანკერული ომის პირობებში შეტევიოთი მოქმედებისათვის კარგად მოწადებულ იყვნენ, მაგრამ წინასწარ ავტულ-მოწადებული ოთხდაცვიო ზღუდეების გარდევა და ნაწილობრე ამერიკულ სატანკო ეკიპაჟებთან ბრძოლა უჭირდაო ქვეყნის ცენტრალური ნაწილის



კორეისი M-26 Pershing-ები
საბჭოთა ტანკებს მრისხნავ ძალად მოეგვინა

